# საქართველოს ქალი

645/2
2000



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნომერშია:


**6** მთელ ჩემს სიცოცხლეს ვუძღვნი

რენო თურქიას მემკვიდრეობას მოვლა ესაჭიროება







**11** ნინო რამიშვილის გამოსათხოვარი





**23** კრისტიან ლაკრუას ცხოვრება და თეატრი

არის ამ ბიჭში რაღაც, — ასე ამბობდნენ მასზე პარიზელები





**18** სამი სიხარული



ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. მ. კოსტავას ქ. №14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

**"Sakartvelos Kali"**
**Georgian Woman**
**a Magazine for Woman**

## ეს საშინელი სიტყვა „თრეფიკინგი“

იყავით გონიერი...

...იყავით ფრთხილი!

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალთა დახმარება“ მონაწილეობას იღებს ქალთა საერთაშორისო დახმარების Health and Gender Equity პროგრამაში. ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა საქართველოს Health and Gender Equity Centze, რომელიც ამჟამად ახორციელებს თრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ მულტიმედიურ კამპანიას სახელწოდებით „იყავით გონიერი! იყავით ფრთხილი!“ კამპანიამ უნდა გააერთიანოს ამ სფეროში მოქმედი პირები, რათა ერთობლივი ძალისხმევით დაიცვას საზოგადოების უმწეო ფენები — საქართველოში მცხოვრები ქალები, ახალგაზრდები და ბავშვები მსოფლიოში მზარდი კრიმინალური საქმიანობისაგან და გარკვეული წარმოდგენა შეუქმნან მათ არარეგულირებად მიგრაციასა და თრეფიკინგზე.

სწორედ ამ კამპანიის დასაწყისი გახდა კონფერენცია, რომელიც თბილისში მოეწყო და, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ „საქართველოს ქალთა დახმარების“ ცენტრი, პროექტის მენეჯერი ქ-ნი ლელა ბაქრაძე და პროექტის განვითარების ოფიცერი, Womenlid International წარმომადგენელი საქართველოში, ქ-ნი ქოლეთ სელმანი.

• • •

**ტერმინი „თრეფიკინგი“ საერთაშორისო მნიშვნელობის მატარებელია და გულისხმობს „ყველა ქმედებას ან ქმედების მცდელობას, რომელიც ეხება პიროვნების დაქირავებას, ტრანსპორტირებას საზღვრებს შიგნით ან გარეთ, ყიდვა-გაყიდვას, გადაცემას, იძულებით, მოტყუებით ან სავალო კაბალით დასაქმებას“. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, თრეფიკინგი ხდება მაშინ, როცა ვინმეს გადაჰყავხარ ერთი ადგილიდან მეორეზე სამსახურში მოწყობის ან დაქორწინების პირობით ძალადობის, თაღლითობისა და ტყუილის გამოყენებით.**

დღეისათვის ადამიანების თრეფიკინგი საერთაშორისო კრიმინალურ საქმიანობათა შორის სიდიდით მესამე, ყველაზე მზარდი და მომგებიანია. ამ საქმიანობას ძირითადად ნარკოტიკებითა და არალეგალური იარაღით მოვაჭრენი ეწევიან. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Iom) მონაცემებით, 1995 წლისათვის მხოლოდ დასავლეთ ევროპაში ყოველწლიურად 500 000 თრეფიკირებული ითვლებოდა. ამჟამად თრეფიკირებულ ქალთა და ბავშვთა ძირითად მიმწოდებლად დსთ-ს ქვეყნები ითვლება, სადაც მეტ-ნაკლებად მოუწესრიგებელია მატერიალური მდგომარეობა და სოციალური ყოფა, მიმღებად კი: თურქეთი, საბერძნეთი, ისრაელი, ტაილანდი, იაპონია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, სამხრეთ ამერიკა და დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა.

თრეფიკინგის სფეროში საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ამჟამად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, მიმწოდებლადაც გვევლინება. თრეფიკინგის მსხვერპლი ძირითადად ბავშვები, ახალგაზრდები და ქალები არიან, რომლებიც იძულებულნი გახდნენ სამუშაო და ლუკმა-პური საზღვრებს გარეთ ეძიონ, იქ კი ან სექს-მოძალადეთა მსხვერპლი ხდებიან და პროსტიტუციის გზას ადგებიან, ან მონებივით შრომობენ პლანტაციებსა და მინდვრებში. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ერიდება სიმართლის თქმას და შელამაზებულად აღწერს საკუთარ საქმიანობას.

თრეფიკინგის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის წინაშე, რადგან ეკონომიკური, ფინანსური თუ ენერგეტიკული კრიზისის ფონზე, ბევრ მათგანს არა აქვს საშუალება თვალყური ადევნოს მსოფლიოში მიმდინარე მანკიერ პროცესებს და „კეთილისმყოფელთა“ მსუყე პირობებს დახარბებულნი, საცოდავად შეკოწიწებული უკანასკნელი გროშებით საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. იქ კი...

და, რადგან არსებული მდგომარეობის გამო, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაინც ხდება იძულებული ეძიოს საზღვარგარეთ „ოქროს მთები“, საჭიროა ელემენტარული სიფრთხილის დაცვა:

პირველ რიგში, გადაამოწმეთ ყველა ის სარეკლამო განცხადება, რომლებიც თითქოსდა კანონიერი ბიზნესის საფუძველზე გიწვევენ სამუშაოდ. ასეთებია: მოდელთა, სამოგზაურო სააგენტოები, შრომითი მოწყობის, ბავშვთა მომვლელების სამსახური, სტუდენტთა გაცვლის სააგენტოები, გაცნობის საერთაშორისო სამსახური.

უფრთხილდით ნაცნობებს, რადგან თრეფიკერები ყოველთვის უცნობები როდი არიან. ხშირად ქალებისა და ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანა-გაყიდვა ნათესავების, მეზობლების, თანამშრომლების, ნაცნობ-მეგობრების დახმარებით ხდება.

უმეტეს შემთხვევაში თრეფიკერები საკუთარ თავზე იღებენ მუშაობის ნებართვის მოპოვებას, პასპორტის, ვიზის და მოგზაურობისას წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას. იქ კი მსხვერპლს აიძულებენ ხელი მიჰყოს პროსტიტუციას ან სხვა მცირედანაზღაურებად ან არაკანონიერ საქმიანობას, ამისათვისართმევენ დოკუმენტებს, უკავებენ ხელფასს, აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, ახდენენ ემოციურ, ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და იზოლაციას.

როგორ შეიძლება ამ უსიამოვნებების თავიდან აცილება?

თუ კერძო პირის ან კომპანიის მეშვეობით მიემგზავრებით, გამგზავრების წინ მოიპოვეთ თქვენი ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს მისამართი იმ ქვეყანაში, სადაც სავარაუდოდ აპირებთ ყოფნას.

დაიმახსოვრეთ თქვენი მომავალი ადგილსამყოფელის ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

შეამოწმეთ, არის თუ არა პიროვნება ან კომპანია, — რომელიც გამგზავრებას გთავაზობთ, საიმედო.

არ მოაწეროთ ხელი კონტრაქტს დაუფიქრებლად. ყურადღებით დააკვირდით იმ პუნქტებს, რომლებიც წვრილი შრიფტითაა დაბეჭდილი, რადგან, ჩვეულებრივ თქვენთვის მიუღებელი ან საზიანო პირობები სწორედ ამგვარადაა აღნიშნული. კონტრაქტი თქვენთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს შედგენილი და მკაფიოდ განსაზღვრავდეს დამქირავებლის სახელს, ქვეყანას, შემოთავაზებული სამუშაოს ტიპს, საცხოვრებელ და ანაზღაურების პირობებს.

თუ თქვენი სავარაუდო დამქირავებელი სამუშაოდ წასვლის მიზნით ტურისტულ ვიზას იყენებს, სიტუაცია უკვე საეჭვოა.

ადგილზე ჩასვლისას არავის მისცეთ შესანახად პასპორტი, უცხო ქვეყანაში ყოფნისას აუცილებლად გაიარეთ რეგისტრაცია თქვენი ქვეყნის საელჩოში ან საკონსულოში, დაუკავშირდით ოჯახის წევრებს, შეატყობინეთ ადგილსამყოფელი და ეცადეთ, მუდმივი კავშირი გქონდეთ მათთან.

მაგრამ, თუკი მაინც შეგემთხვათ უსიამოვნება და გახდით თრეფიკინგის მსხვერპლი, მიმართეთ პოლიციას, რადგან სრული უფლება გაქვთ, იყოთ დაცულნი,. თუ არ გსურთ პოლიციასთან ურთიერთობა, მაშინ დახმარების მიღება შეგიძლიათ ქალთა და ბავშვთა თავშესაფარში, იურიდიული დახმარების გამწევ სააგენტოებში, საიმიგრაციო სამსახურის ჯგუფებში, საავადმყოფოებში, სახანძრო განყოფილებებში, რელიგიურ დაწესებულებებში და, რაც მთავარია, დარეკეთ თქვენი ქვეყნის საელჩოში ან საკონსულოში.

მაშ ასე, თუ მაინც არ იშლით და საზღვარგარეთ სამუშაოდ მიემგზავრებით: იყავით გონიერი! იყავით ფრთხილი!

*მანანა იმესაშვილი*




21734

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

# მიდი, ლაზარე!

*გერმანიაში, ბრანდენბურგის მხარეს, ერთი მშვენიერი სახლი დგას, სადაც ქართული ოჯახი ცხოვრობს. ოჯახის უფროსს ჰქვია ფოლკერ ბურკი, ყველაზე უმცროსს კი — რობინ ლაზარე ბურკი. აქ ხშირად ისმის ქართული ლაპარაკი, ქართული მუსიკა და, რაც მთავარია, ამ სახლის ბინადარნი ოცნებობენ გადააქციონ ეს მყუდრო სახლი ქართულ-გერმანული ურთიერთობების კულტურული შეხვედრების, გერმანულ-ქართული სულიერების სავანედ.*

როცა სოლომონ ლაფაურის ოჯახში ქალიშვილი — მარიკა გაჩნდა, ყველამ იცოდა, რომ იგი მუსიკოსი გახდებოდა. ოჯახში ყველა მუსიკოსი იყო და მუსიკის სიყვარული აქ ყველას და ყველაფერს მოიცავდა.

პატარა მარიკა მე-19 სამუსიკო სკოლაში ცნობილი პედაგოგის ლარისა ბახტაძის მოსწავლე გახდა. შემდეგში ქ-ნი ლარისა იგონებდა: „...პატარაობიდანვე გამოირჩეოდა ბგერის სიღრმით და მუსიკალურობით. ეს ციდა გოგონა საოცარი სიზუსტით ასრულებდა ჩემს მოთხოვნებს. მაოცებდა ძლიერი მუსიკალური ინტუიციით".

შემდეგ იყო კონსერვატორია. თუმცა წარმატებით დაამთავრა საკონცერტო შემსრულებლისა და პედაგოგის კვალიფიკაციით (საფორტეპიანო-საორღანო განხრით), მაგრამ სახელმწიფო გამოცდებამდე ჩვეულებრივ სტუდენტად ითვლებოდა.

გამოცდაზე კი ყველა გაოცა ბრწყინვალე დაკვრით. პედაგოგს საყვედურიც კი ჰკადრეს: აქამდე სად გყავდათ ეს სტუდენტი დამალულიო.

დამალული არსად ყოფილა. უბრალოდ, როცა საჭირო იყო, კვარტეტი მაშინ გაიფურჩქნა. ორღანის კლასით სტაჟირება კი ჯერ თბილისში პროფესორ ვიქტორ მჭედლიშვილთან გაიარა, შემდეგ კი ვილნიუსში, ორღანის ცნობილ პროფესორ ლეო დიგრისთან და წარმატებით წარმოადგინა პროგრამა ვილნიუსის სახელოვანი ძველ ბაროკის მცირე დარბაზში.

საკავშირო სემინარზე მარიკას გაეცნო პროფესორი ლეო კრემერი, რომლის თაოსნობით პერიოდულად ეწყობა საორღანო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ქალაქ შპაიერში, და მოიწვია ქართველი ხელოვანი ამ ფესტივალზე, სადაც მარიკამ საორღანო მუსიკის მხოლოდ გარეგნული გაიცნო.

აქ გამოსვლის შემდეგ მან მოიწვია მაღლა პრაქტიკა ქვეყნიდან, მაგრამ არჩევანი გერმანიაზე შეაჩერა — ქალაქ ლუბეკის უმაღლეს მუსიკალურ სკოლაზე.

მისაღებ გამოცდებზე კი ორ კონცერტი რომ მისცა, მუცალაქმობიას მარიკას დაკვრის შემდეგ მიუწვდომა რექტორმა და ... ეგზამინატორები ჩარიცხა საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტზე.

ეს დღე ქართველი ქალიშვილისათვის ახალი ცხოვრების დასაწყისად იქცა, მით უფრო, რომ მეცადინეობა დაიწყო ევროპაში ცნობილ ხელოვანთან ჰანს გებჰარდთან.

საინტერესოა მისი შეხედულება მარიკას შესაძლებლობებზე:

„მარიკა ლაფაურის ხელოვნებაში არის ის, რაც ჩვენს მუსიკოსებს არ გააჩნიათ და რასაც მე ვერასოდეს მივცემდი. მან სულ მოკლე ხანში დაძლია რთული საორღანო რეპერტუარი და ფრიად საინტერესოდ წარმოადგინა იგი. ახალგაზრდა შემსრულებელი სამომავლოდ დიდ იმედებს გვისახავს".

მაესტრო არ შემცდარა. ერთი წლის შემდეგ ლუბეკის კონსერვატორიაში გამართა მისაღები კონკურსი სამაგისტრო ორწლიან სწავლებაზე, რაც ითვალისწინებს უმაღლესი რანგის არტისტ-კონცერტანტების მომზადებას. სხვადასხვა ქვეყნის 600 ორღანისტიდან მხოლოდ ექვსი შეირჩა. მარიკა ერთ-ერთი პირველი იყო.

საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა-გამრავალფეროვნების მიზნით, ევროპაში მიღებულია პედაგოგთა მონაცვლეობა. ქართველი ქალიშვილი ამჯერად პროფესორ კნუდ ვადისთან მოხვდა. ახალი მაესტროს აზრი ასეთია: „იგი მოაზროვნე მუსიკოსია".

წლების მანძილზე მარიკა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში მართავს საორღანო სოლო კონცერტებს, გამოდის, როგორც კონცერტმაისტერი, ანსამბლის, როგორც საეკლესიო აკომპანიატორი — პიანისტი. ეუფლება ჩემბალოზე დაკვრის ხელოვნებასაც.

ჩვენთვის მარიკას ევროპულ მოღვაწეობაში ყველაზე სასიამოვნო ფაქტი ის გახლავთ, რომ დაუღალავად იღწვის ქართული კულტურის პროპაგანდისათვის. მისი ძალისხმევით ეწყობა გერმანიაში ქართული კულტურის დღეები — საღამოები, კონცერტები, ლექციები, გამოფენები. განსაკუთრებით აღაფრთოვანა მსმენელი ქართულ საგალობელთა მოსმენამ. უამრავი მსმენელი და მნახველი მიიზიდა ჰამბურგში მისი თაოსნობით მოწყობილმა ქართული კულტურის ყოველკვირეულმა (მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, კინო, სპორტი). ყოველივე ამას ცოტა დრო და ძალისხმევა როდი სჭირდება.

მანვე დაარსა გერმანულ-კავკასიური საზოგადოება „ლილე", რომლის თაოსნობით ამ ცოტა ხნის წინ ჩატარდა ფესტივალი „ქართული კინო" — წარმოდგენილი იყო ქართული კინოხელოვნების ფართო სპექტრი — 20-იანი წლების მუნჯი ფილმებიდან დაწყებული ბოლოდროინდელი უტექსტო ფილმების ჩათვლით, რამაც გერმანელი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია. „ლილეს" ძირითადი მიზანი ევროპელთათვის ძველი და ახალი ქართული



მარიკა ლაფაური



მარიკა და ფოლკერ ბურკები



რობინ-ლაზარე ბურკი

კულტურის გაცნობაა.

განსაკუთრებით ზრუნავს მარიკა ლაფაური ახალგაზრდა ნიჭიერ თანამემამულეებზე. სისტემატურად ეხმიანება და ამარაგებს მათ საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების ბუკლეტებით. მისი დახმარებით რამდენიმე ახალგაზრდა უკვე ეზიარა გერმანულ პროფესიონალიზმს და მოღვაწეობს კიდეც მუსიკის სხვადასხვა სფეროში.

ხუთიოდე წლის წინ სამმა ქართველმა — მარიკა ლაფაურმა (ფორტეპიანო), მამუკა ფარესიშვილმა (ალტი) და ზურაბ შამუგიამ (ჩელო) შექმნეს ტრიო „ტიფლისი“, რომლის რეპერტუარში ევროპული და რუსულის გარდა, აუცილებლად არის თანამედროვე რთული მუსიკა.

რამდენიმე ქართველი კომპოზიტორი სპეციალურად ამ ტრიოსათვის ქმნის რთული ტექნიკითა და მაღალი პროფესიული გემოვნებით აღბეჭდილ თხზულებებს, რაც მსმენელთა დიდ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი. სრულდება აგრეთვე ვაჟა აზარაშვილის, დათო მალაზონიას და სხვათა ნაწარმოებები.

ნოდარ მამისაშვილმა სპეციალურად მარიკასათვის დაწერა დიდი საორღანო თხზულება-პოემა სახელწოდებით „დემონი“, რომლის პრემიერა გერმანიაში შედგა, გასულ წელს კი თბილისელებმაც მოისმინეს მათივე შესრულებით. ეს იყო საოცარი შთაბეჭდილება — სამყაროს უსასრულობისა და სიდიადის, იმ მოუხელთებელის, რის გადმოსაცემად სიტყვა უძლურია და იგი მხოლოდ მუსიკას ძალუძს. თვით კომპოზიტორმა ასე ახსნა ეს ფენომენი: „ეს თხზულება დაწერილია ჩემ სამფაზიან სიტემაში, რაც სხვა ელემენტებთან ერთად აკუსტიკურ განსხვავებულობასაც გულისხმობს“.

სწორედ აქ გამოვლინდა მარიკას — საინტერესო ინტერპრეტატორის ნიჭი. გერმანიაში ჩატარებულ კონცერტებზე, იქნება მარიკას სოლო თუ მისი ტრიოს კონცერტები, განსაკუთრებულ წარმატებას ქართველ კომპოზიტოთა თხზულებები იმსახურებენ, როგორც მათთვის უჩვეულო და საოცარ ჰანგთა წყობა.

მარიკა დარწმუნებულია, რომ „ქართული მუსიკის მკაფიობა და ბრწყინვალება უფრო კარგად ჩანს აქედან შორს — უცხოეთში“. მართლაც რომ ასეა და მარიკა ლაფაურს — უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანს — უდავოდ დაეჯერება.

• • •

... ახლა დავუბრუნდეთ იმ ლამაზ სახლს ბრანდერბურგის მხარეში, რომელშიც ქართული ლაპარაკი და მუსიკა ისმის.

ის მარიკა ლაფაურის და გერმანელი ინჟინრის ფოლკერ ბურკის ოჯახია — თბილი და მოსიყვარულე. ამ ოჯახში საქართველო ენატრებათ. პატარა რობინ ლაზარეს კი ორი სამშობლო აქვს.

აქ ქართველი პაპის — სოლომონ ლაფაურის მშობლიურ სოფელ კისისხევში, ღვთისმშობლის ეკლესიაში მონათლეს პატარა ლაზარე.

ეს პატარა ვაჟკაცი ევროპაში ქართული კულტურის დიდ დესპანად გვყავს წარმოდგენილი, რომელიც ალბათ მეტს შესძლებს, ვიდრე მისმა ქართველმა დედიკომ გააკეთა.

მიდი, ლაზარე!..

*ნათია ვჟასალია*

სასწაული

# „ბოროტი მოდგმა ითხოვს ნიშანს“

ლუკას სახარების მე-11 თავში ვკითხულობთ: იესოს ერთმა დედაკაცმა შესძახა: „ნეტარია მუცელი, რომელმაც შენ გატარა და ძუძუნი, რომელთაც სწოვდი“. მან კი თქვა: ნეტარ არიან ისინი, ვინც მოისმენენ და დაიცავენ ღვთის სიტყვას“. როცა ხალხმა შეგროვება იწყო, იგი ალაპარაკდა: „ეს მოდგმა, ბოროტი მოდგმაა, ითხოვს ნიშანს, ნიშანი კი არ მიეცემა...“ ჭეშმარიტად ასეა, — ურწმუნო ადამიანი ნიშან-სასწაულებს ითხოვს, მორწმუნეს კი ყველაფერი განუხრელად სწამს, რაც სახარებაში მოთხრობილი, რასაც წმიდა მამები გადმოგვცემენ.

უფლის განგებას ვერავინ ჩასწვდება, — ზოგჯერ ისეთ სასწაულს მოგვივლენს, ისეთ ადამიანთან მივა, რომელიც არა თუ თხოულობს მისგან ნიშანს, წარმოდგენაც კი არა აქვს მის ძალმოსილებაზე. ასე იყო მაშინ, როცა დამასკოს გზაზე, გამოეცხადა ქრისტიანთა შესაპყრობად მიმავალ სავლეს, რომელმაც იხილა რა ნათელი ღვთისა, მოინათლა და ქრისტეს სახელით ქადაგება დაიწყო... ასე მოხდა ჩვენი საუკუნის 60-იან წლებშიც, როცა ჰასან ბერიძეს, მოლას შვილს და თავადაც ორთოდოქს მუსლიმანს, ბათუმში წმ. ნიკოლოზის ტაძართან ორი ბრწყინვალე გარეგნობის ახალგაზრდა გამოეცხადა და ჯამედან გამოსული კაცი ქრისტიანულ სალოცავში შეიყვანეს. მანამდე ჰასანი მღვდლისა და ეკლესიის დანახვაზე ღიზიანდებოდა (მონათვლაზე ხომ არც არასოდეს იფიქრებდა); — იმ პერიოდში კომუნისტური პარტიის წევრი იყო და ქედის რაიონის ზესოფლის კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა.

და აი, მოხდა სასწაული, — ეს კომუნისტი მუსულმანი ორი საოცარი ახალგაზრდის ჩაგონებით შედის უფლის სახლში და ითხოვს, რომ მონათლონ. ნათლია მოიყვანეო, — უთხრეს მოძღვრებმა. ჰასანი თავის თანამგზავრებისკენ მობრუნდა, მაგრამ არც ერთი არ დახვდა. „სად გაუჩინარდნენ ასე უცებ?“ — ჩაილაპარაკა და ჭიშკრისკენ გაიხედა. გაოცებული მოძღვრები ვერ მიხვდნენ ვის ეძებდა, რადგან დაინახეს, რომ ტაძარში მარტოდმარტო შევიდა, არც ეზოში შეჰყოლია ვინმე... იმ ხანად წმ. ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი გახლდათ მამა ილია შიოლაშვილი, ამჟამინდელი უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც შეასრულა ნათლობის საიდუმლო ჰასანს ქრისტიანული სახელი სევერიანე დაარქვა.

ამ სასწაულებრივი ნათლობის შემდეგ ახალგაქრისტიანებული კაცი სულ იმას ფიქრობდა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ის ახალგაზრდები, ვინც ემბაზთან მიიყვანეს. ერთხელაც, მთავარანგელოზებთან ლოცვის დროს, მიქაელის და გაბრიელის ხატებში შეიცნო თავისი კეთილი მეგზურები... ამის შემდეგ განსაკუთრებული თაყვანისცემით განეწყო მთავარანგელოზთა მიმართ და ჩაქვში, საკუთარი სახსრებით მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიაც კი ააშენა.

სევერიანე დაუცხრომელი მლოცველი იყო, — მოვლილი ჰქონდა როგორც საქართველოს ეკლესია-მონასტრები, ისე რუსეთის წმიდა ადგილები. მრავალი განსაცდელი და დევნა გადაიტანა რწმენის გზაზე, მაგრამ სიძნელეები კიდევ უფრო ულვივებდა ღვთის სიყვარულს და სულს უწრთობდა. მისი ლოცვითა და ქადაგებით ოჯახის ყველა წევრი მოინათლა, ბოლოს დიაკვნად ეკურთხა და ამ ხარისხით წარსდგა უფლის წინაშე.

თუ არა მთავარანგელოზთა კეთილი სასწაული, რა უნდა მომხდარიყო, რომ მოლას მრავალრიცხოვანი ოჯახი გაქრისტიანებულიყო; — უფალმა მუსულმანურ სამყაროში გამოარჩია კეთილი ჭურჭელი, საიდანაც დღესაც წმიდა მირონი მოედინება... მოლა ყედირ ბერიძის მეათე შვილიც (ფილოლოგი, კომპარტიის წევრი) ძმის მაგალითით მოინათლა და დღეს უკვე დეკანოზის ხარისხში იმყოფება, — მამა სერაფიმე ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მისია-ევანგელიზაციის განყოფილებას თავმჯდომარეობს, ამავე დროს ბათუმის საკათედრო ტაძრის მოძღვარია და ახალშენის ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი.

მამა სერაფიმეს უამრავი სულიერი შვილი ჰყავს, ვინც მასთან მიდის, ხომ მამობრივი მზრუნველობით ეპყრობა და უფლის ნათელს უზიარებს, ტაძრის გარეთ დარჩენილებთან კი თავად მიბრძანდება... მისი დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგია, მხცოვანი აჭარლები რომ ინათლებიან და ჯვარსაც იწერენ... ორიოდე წლის წინ 90 წლის რაიკე ხალვაშმა მამა სერაფიმეს განუცხადა: საკმარისია, რაც ტყვეობაში ვიმყოფებოდით, მე ვარ ჩემი შვილებისა და შვილთაშვილების უხუცესი, ამიტომაც მათთან ერთად უნდა მოვინათლოო. ძალიან ბევრი აჭარელი მდინარე მაჭახელაში ინათლება, იმ მდინარეში, სადაც თავმოკვეთილ ქრისტიანებს ყრიდნენ მოძალადე თურქები.

მამა სერაფიმე არა მარტო მუსულმან ქართველებს აქრისტიანებს, განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევს ბოლო დროს ჩვენში მომრავლებულ სექტანტურ დაჯგუფებებსაც. განსაკუთრებით ე.წ. იეჰოვას მოწმეებს და ბაპტისტებს, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან იმართებიან და ფინანსებსაც იქიდანვე იღებენ, არც თუ კეთილი მიზნებისათვის.

• • •

„ბოროტი მოდგმა ითხოვს ნიშანს“... ნიშან-სასწაული კი იმაზე მეტი რა უნდა მოგვცეს უფალმა, რაც მოლა ყედირ ბერიძის ვაჟის — ჰასანის მიმართ გვიჩვენა!

*ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი*

# გამთლიანებული აზროვნება

„თუმცა დაბადებულთა ბუნება არ ვიცით, მაგრამ ისიც კი, რაც ჩვენი შეგრძნებებით განიცდება, იმდენად გასაოცარია, რომ თვით ყველაზე ბრძენი გონებაც უძლურია სამყაროს თუნდაც უმცირესი ნაწილი ისე განმარტოს, როგორც საჭიროა და ღირსეული ქება შესწიროს დამბადებელს".

წმ. ბასილი დიდი



*ღმერთს კომპოზიციის ნიჭით რომ დავეჯილდოვებინე, მთელ ჩემს მუსიკალურ სამყაროს რენო თურქიას, მის ფერთა საუფლოს მივუძღვნიდი... მე კი მას მხოლოდ*

# მთელ ჩემს სიცოცხლეს ვუძღვნი



[illegible]

[illegible]



[illegible]

„...И не только различные оттенки биополя и ауры Рено Туркия (великого художника с Кавказа, гения-об этом стоит раструбить на весь мир) видятся зримым оком каждого, кто соприкасается с этими шедеврами, в ещё более завораживающими ощущаются вибрации душевного и духовного тепла и мелодии успокаивающей и возвышающей душу музыки, которые словами Гоголя как „Неведомая сила" подхватили „тебя на крыло к себе, и сам летишь, и всё летит. . . и мчится вся, вдохновенная Богом !"

Игорь Савельев,
Академик Москва

[illegible]



[illegible]

„არის რენის შემოქმედებაში ისეთი რამ, რომლის ახსნა და სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. მის შესახებ ზუსტად და მართლად თხრობა ჯერჯერობით არავის შეუძლია (ელ. ველტნერი, ხელოვნებათმცოდნე).

„რენე თურქიას შემოქმედების შესწავლა და მისი მიღწევებით ადამიანისათვის გაცნობა იმათი ზნეობრივი ამოცანაა, ვისაც არ სურს იყოს ჩვეულებრივი მოკვდავი და იცის, როგორ მომხიბლავი სულიერი სამყარო, რომელსაც ჩვენ ღვთაებრივს ვუწოდებთ“ (ალ. ნოსალი, ხელოვნებათმცოდნე, მოსკოვი).

უამრავი აღფრთოვანებული გამონათქვამი თავმოყრილია ჩემი კოლეგის ელგუჯა ლებანიძის მშვენიერ წიგნში „დასაწყისი უკვდავებისა“, მაგრამ მხატვრის შემოქმედების კვლევა, ვფიქრობ, მაინც მომავლის საქმეა.

დასაწყისში დაგპირდით რენისა და ეხმას სიყვარულზე გიამბობთ-მეთქი, მაგრამ კალამი მაინც რენის შემოქმედებისკენ გამექცა. არადა დარწმუნებული ვარ, გინდ დანტესა და ბეატრიჩეს, გინდ პეტრარკასა და ლაურას, გინდ მარიკა და სიმონ ჩიქოვანების, გინდ ჟერარ ფილიპისა და მისი მეუღლის ან ფილიპის (რომელმაც ქმრის სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნა შესანიშნავი წიგნი „დრო სუნთქვასავით გარდასული“), გინდ მოდილიანისა და მისი სატრფოს ლეგენდარულ სიყვარულზე ნაკლებ მასალას როდი იძლევა რენისა და ეხმას სიყვარულში მწერალი, რომელიც მოისურვებს მათ ურთიერთობაზე რომანის დაწერას. მანამდე კი თვითონ ეხმა ზამთრის ყინვებში თუ ზაფხულის ხვატში, სანთლის თუ ლამპის შუქზე წერს თავისი ცხოვრების წიგნს, თუ, რა თქმა უნდა, დასრულება და გამოცემა ეღირსა.

მხოლოდ მცირე ამონარიდს გთავაზობთ ეხმა გომელაურის მომავალი წიგნიდან:

„მახსოვს, ჩემმა დედამთილმა მაამბო რენის ამ ქვეყნად მოვლინების შესახებ: თურმე 1926 წლის 11 აგვისტოს სოხუმის სამშობიაროში გვიან ღამით დაბადებულა, იმ დღით ყველაზე ბოლოს. „ჩვჩიკები“ უკვე აღარ ჰქონიათ და დარჩენილა ყრმა თავშიშველი. დილით კი, როცა მოუტანეს, არაფრით აღარ დაუხურავს, ტირილით აუკლია იქაურობა...

ეს გარემოება თითქოს სიმბოლურ გამოხატულებად იქცა რენის ცხოვრების ხასიათის გასაცნობიერებლად. მას ამქვეყნიური თითქმის არაფერი გააჩნდა (არც ინდომა). ყველაფერი, რითაც უხვად იყო დაჯილდოებული და, რითაც ირგვლივ მყოფთ ხიბლავდა, უზენაესისგან ჰქონდა მინიჭებული. მატერიალური მისთვის არასოდეს წარმოადგენდა ინტერესების სფეროს, ვინც ახლოს იცნობდა, ყველა თვლიდა, რომ ის არაამქვეყნიური იყო.

...თვითონ კი დაგვიტოვა დიდი ნიჭით, აღსავსე გაჯერებული ღვთაებრივი ნაწარმოებით, კეთილშობილებით, მაღალი სულიერებით, დიდი სიყვარულით — ეს კი ყურადღებას, ღირსეულად დაუფლებას და მოვლა-პატრონობას საჭიროებს და იმსახურებს“.

მიდის, დაკვირვებით, დაე ეხმამ თვითონ გვიამბოს როგორ ეთრთოდა გული, როცა რენესთან სცენაზე მიდიოდა. (რენე მის პორტრეტს ხატავდა). როგორ ამაყად, სიყვარულითა და ღირსებით აღსავსემ უპასუხა რენემ ეხმას დედის ცოტა არ იყოს გაბრაზებულ შეკითხვას: როდემდე უნდა ხატო ჩემი ქალიშვილი? მთელი სიცოცხლე, ქალბატონო! როგორ თქვა უარი შვილის ყოლაზეც კი, რაკი ეს ეხმას ჯანმრთელობას ემუქრებოდა, როგორ დააბიჯებდნენ თბილისის ქუჩებში ხელჩაკიდებული და ერთმანეთის გარდა ვერავის ამჩნევდნენ. როგორ თხოვდა სიკვდილის წინ ცოლს: შენ არაფერზე ინაღვლიო. და როგორ ესაუბრება ახლაც იქიდან და როგორ უხდება ყვავილფერი რენესაგან გინდ სიზმარში, გინდ ცხადში ნათქვამი.

ამას ყველა ვერ გაიგებს და არც არის საჭირო, რადგან ეს მხოლოდ შეყვარებული წყვილის, მხოლოდ ორის სამყაროა. ეს ჩვენს ცოდნაზე მეტია! მეორეს მხრივ, იქნებ სწორედ ეს არის ადამიანის ნორმალური მდგომარეობა?

თავის მოწამეობრივ ცხოვრებაში ეხმა უამრავი ადამიანის მადლიერია. უსაზღვროდ ემადლიერება საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, რომ არა მისი დახმარება, მხატვრის 140-ზე მეტი ტილო საქართველოში ვერ ჩამოვიდოდა. ახლა ის ოთხი დიდი ფურცელი ადარდებს, მოსკოვში რომ დარჩა და მან დაბრუნებას ელის.

იმედით აცხებს ზურაბ ჟვანიას დაინტერესება რენეს სურათების ბედით. მადლობელია იმ ადამიანების, ვინაც თავის დროზე რენეს ალბომის გამოცემაში, მოსკოვში გამოფენის მოწყობაში დაეხმარა. ან უბრალოდ ლუკმა გაუყო და გულის სითბო აჩვენა.

მადლიერება ხომ კეთილშობილი ადამიანთა თვისებაა.

მე, ძველი იმპრესიონისტისგან მხოლოდ გაცრეცილი ნაფლეთებიღა რომ შემორჩა, მაინც მგონია, რომ ერთხელ იქნება, ისეთი კაბინეტის კარს შეაღებს, რომლის პატრონი ორი კვირის შემდეგ გამოიარეთ კი არ ეტყვის და ორი კვირის შემდეგ ჩინეთში წასული კი არ დახვდება, არამედ ყურადღებით მოუსმენს, ჩვეული გამჭრიახობით მაშინვე მიხვდება, რომ საუბარი ერის სულიერი საგანძურის ნაწილს ეხება და განცხადებას დაახლოებით ამგვარ ან გაცილებით უკეთეს რეზოლუციას წააწერს:

„რენე თურქიას ნახატების სათუთი მოვლა და გაფრთხილება ესაჭიროება. მათი დაკარგვა, გაყიდვა, განიავება ერის სულიერი საუნჯის გაძარცვა იქნება.

ამიტომ დაევალოს მერიას (კულტურის სამინისტროსთან ერთად) 3 კვირის ვადაში მოძებნოს შესაფერისი შენობა მათი მუდმივი ექსპოზიციისათვის. არ გამოვრიცხავ, რომ შენობა შეირჩეს ვაკეში ან საირმის გორაზე უპატიოსნო გზით ნაშოვნი ფულით გაჩაღებულ მშენებლობებს შორის, რადგან ვინც იქ 3-4 სართულიან აუზიან, საუნიან სახლებს იშენებს, იმათ სხვა ბინებიც ბლომად აქვთ და თავიდან აშენებასაც თავისუფლად შეძლებენ. „ახალი თბილისის უბანს“ კი, როგორც საირმის გორას თბილისელებმა შეარქვეს, კულტურის კერა გააკეთილშობილებს.

შესრულება მომახსენეთ“.

ეჰ, ზღაპარი ყოველთვის კარგად მთავრდება. ზღაპარში კონკიასაც ხომ გაუმართლა, მაგრამ იქნებ, მაგრამ ერთხელ...

ნარგიზა მგელაძე

ელეონორა ბერიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ცინარა ტერელაძე

## მოთხრობა

– კარგი ღვინო და კარგი ქალი დაგემოვნებით უნდა შესვა! – თავის კანტურით ჩაეცინა პაპას ულვაშებში, თვალებიც ეშმაკურად აუწყლიანდა, ნაღდად ვიღაც გაახსენდა.

– ქალი როგორ უნდა შესვა? – გაუკვირდა შვილიშვილს.

– ჰეე, ქალი ღვინოზე მეტი მათრობელაა... ღვინო ისეთს რას გიზამს, რასაც ქალი! მაგრამ, ქალიცაა და ქალიც! ნუნი კი ნაღდი ქალი იყო! – ამოიოხრა პაპამ და შვილიშვილს სევდიანი მზერა მიაპყრო.

– მოკვდა?

– არა, კაცო! ცოცხალია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!

– მერე, თუ ცოცხალია, რაღა გადარდებს ? – შვილიშვილს პაპის სევდა ისე მოხვდა გულზე, როგორც ლობეს ჩხირი, – მაინც, როგორ უნდა შევსვა ღვინო და ქალი დაგემოვნებით, რატომ არ მეუბნები? – ეს უფრო აინტერესებდა.

– აბა, როგორ გითხრა... ხომ ხდება, ზოგჯერ ღვინოც და ქალიც ისე მოგწყურდება, როგორც წყალი,

რომ არ დალიო – გაგიჟდები!... აი, წახვედი დასალევად და მოგიტანეს დაძმარებული, წყალნარევი ან შაქარზე დაყენებული ღვინო. ასეთი ღვინო უცბად უნდა გადაჰკრა, რომ გემო ვერ გაუგო. თუ მარტო დათრობა გინდა, ამისთვის გამოდგება, დაგათრობს. მაგრამ კარგი მსმელი, ვინც ღვინის ფასი იცის, გაკეთებულს პირს არ დააკარებს, არ იკადრებს ისეთი ღვინით გამოთვრეს, რაც გულსაც აატკიებს, მუცელსაც, თავსაც და მერე, შხამად და ძმრად ამოუვა უკან. აი, კარგი ღვინო კი წრუპაწრუპით, თითო ყლუპით უნდა მოსვა, გაიგემოვო, შეიტკბო, ისიამოვნო... კარგ ღვინოზე საჭმლის მიტანებაც არ მოგინდება და ასე, ნელ-ნელა შეხვალ და თანდათანობით ჩაიძირები ტკბილ ბურანში, ნეტარებაში, თავდავიწყებაში... როცა გამოფხიზლდები, არც თავი გტკივა და არც ნამთვრალევის საზიზღარი შეგრძნება გაქვს, ჩიტივით ხარ!

– ქალზე რაღას მეტყვი? – შვილიშვილს მაინც გაუჭირდა ქალის და ღვინის ერთმანეთთან დაკავშირება.

პაპა ერთხანს დუმდა. როგორ უნდა აუხსნას ამ ღლაპს, რა არის კარგი ქალი? არადა, თუ თვითონ არ გაეგებინებს, სხვა ვინ ეტყვის? ღმერთმა ნუ ქნას, რომ მისი შვილიშვილი ვერასოდეს მიხვდეს, რა არის ეს უდიდესი სიკეთე – ქალი რომ ჰქვია. ის ხომ უფალმა კაცისთვის შექმნა და მისი გულისთვის უკანმოუხედავად დათმო სამოთხე და სამუდამო სიმშვიდე.

– ჰოო... კარგი ქალიც დაგემოვნებით უნდა შესვა, თორემ, უცბად თუ დაეუფლე, ჩვეულებრივი გეგონება... ჯერ მისი გარეგნობით უნდა მოიხიბლო, თმა ცალკე მოგეწონოს, ტან-ფეხი ცალკე. მერე, მისმა შუბლმა, თვალებმა და ტუჩ-კბილმა მოგაჯადოვოს, სახის ფერმა და კანმა ისე მოგნუსხოს, რომ ერთიანად დაგბურძგლოს, ყელმა და მკერდმა ტანში ჟრიალი დაგაწყებინოს, ჩამოქნილმა მკლავებმა და თლილმა თითებმა თვალები დაგიბნელოს, მოქნეულმა წელმა კი გონება დაგაკარგვინოს...

შვილიშვილი პირდაღებული შესცქეროდა პაპას. სულ დაწვრილებით წარმოიდგინა ისეთი ქალი, როგორსაც ის უხატავდა.

– მერე, მერე? – ვეღარ მოითმინა მისი დუმილი.

– რა, მერე! აბა, ასეთი ქალის უცბად შესმა როგორ იქნება?!

ყველა ამ სიკეთეს ხომ ვეღარ იგრძნობ, გემოს ვერ გაუგებ... ასეთ ქალს ჯერ თმებზე უნდა შეახო ხელი, მერე, იმის თვალებში უნდა ჩაიძირო, მერე, მისი ტუჩებით დათვრე, მერე, მისი სხეულის სურნელით აივსო, მერე...

– მერე? – არ მოეშვა შვილიშვილი.

– ახლა, დანარჩენს თვითონ მიხვდი. ყველაფერს მე ხომ ვერ გეტყვი? – გაეცინა პაპას.

– რა მაგარი ხარ?! – გაოცებული შვილიშვილი აღფრთოვანებით უყურებდა და სიამაყის გრძნობა გაუჩნდა, რომ ასეთი პაპის შთამომავალი იყო, – შენ შეხვედრიხარ ასეთ ქალს?

– შევხვედრივარ! ეგეთი ქალი ნუნი იყო, მაგრამ ჩემი არ იყო, – თქვა დანანებით და ისე ამოიოხრა, გულიც თან ამოატანა.

– შენზე უკეთესი ვინ მოეწონა? – გაუკვირდა.

– მისმა ქმარმა თხუთმეტი წლისა მოიტაცა და ყველა პირში ჩალაგამოვლებული დაგვტოვა. შეეშინდა, არავინ წამართვასო, რადგან, ჩვენი უბნის ყველა ბიჭი მასზე ვიყავით შეყვარებული. ნუნი ისეთი გოგო იყო, გარეთ რომ გამოვიდოდა, ქუჩაში მოძრაობა ჩერდებოდა. ქალი, კაცი, დიდი და პატარა გამოლენჩებული მიაჩერდებოდა ხოლმე. მერე, რა კოხტა იყო, როგორ უხდებოდა ყველაფერი? ისიც გრძნობდა, გრძნობდა ოხერი!.. სიამოვნებისგან ელიმებოდა და უფრო ლამაზი ხდებოდა. ზოგიერთივით ამაყი და უკარება კი არ იყო, მზესავით სითბოსა და სიკეთეს ყველას ერთნაირად გვაფრქვევდა. სიყვარულით მოგვიკითხავდა, მოგვეფერებოდა, აგვავსებდა რაღაც უცნაური სიამაყის გრძნობით და წავიდოდა თავის ქმართან. ჰოო, არ ვაჭარბებ, ახლაც მახსოვს ის სიამაყე, ნუნისთან დალაპარაკების შემდეგ რომ გვეუფლებოდა. გვეამაყებოდა, რომ ჩვენი ბავშვობის მეგობარი იყო, შეგვეძლო ქუჩაში მასთან მისვლა, გადაკოცნა, ახლობლურად მხარზე ხელის გადახვევა. გვსიამოვნებდა, რომ სხვა ბიჭები შურით სკდებოდნენ.

ქმარიც მაგარი ჰყავდა, რაც მართალი –მართალი! პირველი ბიჭი იყო ვერაზე! იმისა არ იყოს, უფალმა რომ თქვა:„კარგი ცუდსაო, ცუდი კარგსაო და ათასში ერთხელ წამოსცდება კარგი კარგსაო!“ ნუნი და მისი ქმარიც იმ ათასში ერთხელ წამოცდენილი სიტყვების ძალით იყვნენ შეუღლებული. აბა, იმის ხათრით, სიყვარულითა და შიშით მის ცოლს ავი განზრახვით ვინ შეხედავდა. მაგრამ, გულში, ყველა მაინც ნუნიზე ვოცნებობდით. როგორც მზე ყველასია და მარტო ცისაა, ისე იყო ისიც. თითქოს ყველასი იყო, მაგრამ, მარტო მის ქმარს ეკუთვნოდა. ამიტომ, არც ვეჭვიანობდით. მაგრამ, სხვისგან რომ გაგვეგო, ნუნი მომწონსო, იქვე მივახრჩობდით. ისეთი მესაკუთრული გრძნობა გვიჩნდებოდა, თითქოს საკუთარ შეყვარებულში გვეცილებოდა ვინმე. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ნუნი სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა. მისი ქმარი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ხომ ასე გვიყვარდა და ვოცნებობდით მასზე, მაგრამ ვერცერთმა სიტყვის თქმაც კი ვერ შევბედეთ. მისი ქმრის ადგილის დასაკავებლად თავი უღირსად მიგვაჩნდა. ალბათ, თვითონაც უარს გვეტყოდა. ასე დარჩა ის ბოლომდე თავისი პირველი სიყვარულის ერთგული. რა ვიცი, მეთქვა მე დალოცვილს, გამეხილა, რომ მიყვარდა, იქნებ გამმართლებოდა, ჰაა? – ჰკითხა შვილიშვილს.

– შენც გეთქვა, რაა! – გაუბრაზდა, – ეგეთი გაუბედავი როგორ იყავი?!

– ჩემს თავს ვუფრთხილდებოდი და იმიტომ. იმას რომ უარი ეთქვა, მოვკვდებოდი! ჰეე, სადღა იპოვი ეგეთ ქალს!

– მართლა ვერ იპოვი! – დაეთანხმა შვილიშვილი. მან თავის ნაცნობ გოგოებს გონების თვალი გადაავლო და ერთიც ვერ აღმოაჩინა, რომელიც იმ ქალს შეედრებოდა.

– აბა, რას იტყვი, მიგახვედრე, რატომ უნდა შესვა კარგი ღვინო და კარგი ქალი დაგემოვნებით? ვინც ასე არ იქცევა, ის არცერთის ღირსი არ არის!

– ეგრე თქვენს დროს იყო, ახლა კი სულ სხვანაირი სიყვარულია. როგორ, ქალი მიყვარდეს, იმაზე ვოცნებობდე და ვერ ვუთხრა?! არ გეწყინოს, მაგრამ, ეგეთ რამეს ვერასოდეს გავიგებ, გადავყვები სიყვარულს თან! – უთხრა აგდებით. პაპის გრძნობებმა მის სულში ერთი სიმიც ვერ შეარხია, მაგრამ ის კი შეშურდა, რომ მას დღემდე ვიღაც მზესავით ქალი უყვარდა.

# აფსუს, ბიჭო!

## როგორ ვერ ვუვლით ეროვნულ განძს



> „აფსუს, ბიჭო! აფსუს, ჩვენო ნიჭიერო! მეშინია, ჩვენ კიდევ არ ვი-ცით რა სიმდიდრე დავკარგეთ. რამდენი დრო გავიდა და კიდევ არ მომი-ნელებია ეს საშინელება...“
>
> ელენე ახვლედიანი

ამ წლის 17 ივლისს ლონდონის ნაციონალური თეატრის შენობაში გამოჩენილი თეატრალური მხატვრის პეტრე ოცხელის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა და დაინტერესებული მნახველის სამსჯავროზე უდროოდ წასული გენიალური ქართველი შემოქმედის ის 65 ესკიზი წარსდგა, რომლებმაც თავის დროზე გადატრიალება მოახდინა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში.

პეტრე ოცხელის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა საოცრად ხანმოკლე და წარმატებული იყო. ყველასათვის უცნობ ოციოდე წლის სტუდენტ-არქიტექტორს დიდმა კოტე მარჯანიშვილმა სპექტაკლ „ურიელ აკოსტას“ გაფორმება მიანდო და თეატრალური სამყაროსკენ დაულოცა გზა.. ეს ნამუშევარი მხატვრის სენსაციურ დებიუტად იქცა დიდ სცენაზე და თითქმის სრულიად ბავშვი იმ თეატრის მთავარი მხატვარი გახდა, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ედგა სათავეში.

ნიჭიერი შემოქმედის დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ კოტე მარჯანიშვილი და კონსტანტინე სტანისლავსკი, ლადო გუდიაშვილი და ელენე ახვლედიანი, ვერიკო ანჯაფარიძე და უშანგი ჩხეიძე, თამარ ვახვახიშვილი და ვასო გოძიაშვილი...

შესანიშნავმა ქართველმა თეატრალურმა მხატვარმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის 30 წლიდან (იგი 1937 წლის 2 დეკემბერს დახვრიტეს როგორც „ხალხის მტერი“) ათი ქართულ თეატრს მიუძღვნა, გააფორმა 25-მდე სპექტაკლი, მათ შორის, ლუნაჩარსკის „ცეცხლის გამჩაღებლები“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“, კალაძის „ხატიჯე“, ჰაშეკის „გულადი ჯარისკაცი შვეიკი“, იბსენის „მშენებელი სოლნესი“, შექსპირის „ოტელო“, ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“... შექმნა ესკიზები განუხორციელებელი დადგმებისათვის: შილერის „ყაჩაღები“, კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ვახვახიშვილის „სპარტაკი“, ვერდის „რიგოლეტო“. თანამშრომლობდა დიდ რეჟისორებთან: კოტე მარჯანიშვილთან, ვახტანგ აბაშიძესთან, არჩილ ჩხარტიშვილთან, დოდო ანთაძესთან, ვასო ყუშიტაშვილთან, ალექსანდრე თაყაიშვილთან...

ახალგაზრდა მხატვრის უსაზღვრო ტალანტით მოხიბლულმა ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ სერგო ამაღლობელმა პეტრე ოცხელი მოსკოვის მცირე თეატრში მიიწვია, სადაც მან შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ და გუსევის „დიდება“ გააფორმა, 1937 წელს კი სტანისლავსკის მიერ მოწყობილი „რიგოლეტოს“ დადგმის მხატვრული ესკიზების კონკურსზე პირველი ადგილი დაიმსახურა.

მხატვრის ტრაგიკული აღსასრულიდან ორიოდე წლის შემდეგ, 1939 წელს ლონდონში თეატრის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც პეტრე ოცხელის ესკიზები ოქროს დიდი მედლით დაჯილდოვდა, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში უსამართლოდ შერისხული შემოქმედის აღიარება კარგა ხნის მანძილზე საიდუმლოდ ინახებოდა და არც ის ოქროს მედალი ჩანს დღეს სადმე.

სწორედ ამ და ჩვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე სასაუბროდ პეტრე ოცხელის ერთ-ერთ მემკვიდრეს, მხატვრის დისშვილს, ცნობილ საგუნდო დირიჟორს, ქ-ნ ***მარინე ოცხელს*** ვეწვიეთ, რომელსაც შინ უმდიდრესი ფოტოარქივი აქვს შემონახული და წლების მანძილზე რუდუნებითა და სიფაქიზით უვლის სახელოვანი წინაპრის დანატოვარს:

***– ოცხელი უცნაური და იშვიათი გვარია...***

–წარმოშობით ქუთაისიდან ვართ, ოცხედან. ჩვენი წინაპრები კათოლიკე მანანაშვილები ყოფილან. ახლა ეს გვარი არსად აღარ გვხვდება, სამაგიეროდ ცრუ ოცხელები არიან. ერთი /ირადად მეც ვიცი. არადა ჩვენს გარდა სხვა ოცხელები არ არსებობენ – მე ვარ და ერთიც ბიძაშვილი მყავს მოსკოვში.

***– ქ-ნო მარინე, პეტრე ოცხელს, როგორც უნიჭიერეს შემოქმედს იცნობს ჩვენი საზოგადოება, მაგრამ მის პირად ცხოვრებაზე ნაკლები ვიცით...***

– იცით, პირადი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, არც ჰქონია. სულ ბავშვი იყო თეატრში რომ მივიდა. სამწუხაროდ, თვად მას არ მოვსწრებივარ და თუკი რამ მახსოვს, ისიც დედისა და ბიძის მეგობრებისგან. კი ვაპირებდი რაღაცეების ჩაწერას, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ჩვენი მედლე-ხვალიობის ამბავი.

***– მაინც როგორი იყო პეტრე ოცხელი?***

– საოცრად მშვიდი, ყველასათვის საყვარელი, ყველა სახალისო საქმის მოთავე და არაჩვეულებრივი იუმორის პატრონი. თურმე, როცა კოტე მარჯანიშვილი ავად ხდებოდა ხოლმე, ითხოვდა, პეტრე მომიყვანეთ, ანეკდოტები მომიყვესო.

***– ვისთან მეგობრობდა?***

– ყველასთან ვინც თეატრში იყო. თეატრის გარეთ არ არსებობდა, ერთგვარ ვაკუუმში იმყოფებოდა და მხოლოდ ის აინტერესებდა, რაც იქ ხდებოდა. მისი საუკეთესო მეგობარი თამარ ვახვახიშვილი სულ იმას აღნიშნავდა: „В него все влюблены !“

***– თვითონ თუ უყვარდა ვინმე?***

– მიჭირს თქმა. უდიდესი სიმპათია და სიყვარული ჰქონდა ვერიკოსადმი, მაგრამ ვერიკო ასაკით უფროსი გახლდათ, შვილები ჰყავდა, ის კი პატარა ბიჭი იყო. სხვას ვერაფერს გეტყვით. ყველა უყვარდა და მასაც სიყვარულს მიაგებდნენ.

***– თუკი ასეთი სიყვარულით სარგებლობდა, როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმეტა და რატომ?***



ვერიკო ანჯაფარიძე და პეტრე ოცხელი

ქართველი ჟურნალისტები

# ნინო რამიშვილის გამოსათხოვარი



# ლეგენდად დარჩა

საქართველოს ცის კაბადონს კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი მოწყდა და ცას სიფერმკთალე შეეპარა. იმგვარ ნათებას სხვა ვარსკვლავი ვეღარ შესძლებს.

ჩვენი თაობა ბედნიერია, რომ ნინო რამიშვილზე არა მარტო გაუგონია, თვალითაც უნახავს და უნახავს იგი სცენაზე მანამდე არნახული გრაციით და ბრწყინვალებით. მისი თითოეული მოძრაობა, თითოეული გამოხედვა თითო პოემასავით იკითხებოდა. სწორედ რომ იკითხებოდა, რადგან არც ერთი მოძრაობა არ იყო იმპულსური და შემთხვევითი. ყოველი პასაჟი დიდი ფიქრის და ძიების ნაყოფი იყო, რაც ქართული ფოლკლორის, ყოფის, ხასიათის ვიტყოდი, ფილოსოფიურ გააზრებას ემყარებოდა. ქალბატონ ნინოს როკვაში შეჰქონდა ინტელექტუალური საწყისი.

მშვენიერი, დარბაისელი, წიგნიერი, არისტოკრატი ქალბატონი... მისი საუბრის მოსმენა დიდ სიამოვნებას განგაცდევინებდა. არასოდეს დაუშვებდა შეცდომას მეტყველებაში. ყოველი სიტყვა თავის ადგილას იჯდა. ყოველი აზრი მკვეთრი და ფორმულასავით ლაკონური, დატვირთული.

მარტო ეს აზრი რად ღირს, ჟურნალისტთან საუბარში რომ ბრძანა დიდმა ქალბატონმა:

მწვერვალზე ასვლა ადვილია, იქ დარჩენაა ძნელი!

დიახ, რომ დარჩენას მეტი რუდუნება და ნებისყოფა ჭირდება, რაიც ჭარბად ჰქონდა ჩვენს დიდებულ ქალბატონ ნინოს.

თუ რამ გვაქვს თავმოსაწონებელი დღევანდელ ქართულ ხელოვნებაში, ერთი — ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლიცაა, მსოფლიოს რომ გააცნო ქართული სულის სიმაღლე და სილამაზე და ალბათ რამდენი ათეული წელიც უნდა იარსებოს (ღმერთმა ინებოს) ამ ანსამბლმა, ხალხში მას ყოველთვის სიყვარულით მოიხსენიებენ — სუხიშვილის და რამიშვილის ანსამბლი.

საბედნიეროდ, მას ისევ სუხიშვილი უდგას სათავეში — ნინოს და ილიკოს ვაჟი... მერე კიდევ მესამე თაობა. ისევ ილიკო და ნინო სუხიშვილები.

და ასე დაუსრულებლად...

*ნარგიზა მგელაძე*

– ეს ძალზე მტკივნეული საკითხია. პეტრე მოსკოვში მუშაობის პერიოდში აიყვანეს. აქ რომ ყოფილიყო, იქნებ არც არაფერი მომხდარიყო. ისე, ერთ დიდ პიროვნებაზე, მხატვარზე გამოთქვეს ეჭვი, მაგრამ ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი იყო, დედა ეთაყვანებოდა, ამიტომ ვერ ვიტყვი.

***– მოსკოვს რატომ მიაშურა, თეატრში უსიამოვნება ხომ არ შეხვდა?***

– არა, საკუთარი სურვილით გაემგზავრა. დედას ეუბნებოდა, აქ რასაც ვაკეთებ, ყველაფერს მიქებენ და ახლა სხვაგანაც მინდა თავი გამოვცადოო. თურმე, იქაც ხელის გულზეატარებდნენ.

***– დიდი მითქმა-მოთქმაა 1939 წელს ლონდონში მიღებულ ოქროს დიდ მედალზე, გაარკვიეთ რამე?***

– ახლანდელ გამოფენასთან დაკავშირებით ატყდა აჟიოტაჟი და ძებნა, მაგრამ ვინლა მიაგნებს. ზუსტად ისიც არ ვიცი 38-ში მოეწყო ის გამოფენა თუ 39-ში. მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობა თურმე იმას ამტკიცებდა, ჯილდო ოცხელმა კი არა, სპექტაკლმა „დიდებამ“ მიიღოო. აბა, რაში აწყობდათ „ხალხის მტრის“ ასე აღზევება.

***– ამჟამინდელი გამოფენის გახსნაზე თქვენ თუ მიგიწვიეს?***

– რას ამბობთ, საერთოდ იციან ჩემი არსებობა?

***– როგორ, განა ნამუშევრები ახლა თქვენ არ გეკუთვნით?***

– რადგანაც ბიძაჩემი რეპრესირებული იყო, მისი ნამუშევრები თეატრის მუზეუმს დარჩა, ნაწილი კი თეატრისა და კინოს მუზეუმშია თავმოყრილი.

***– გადმოცემით მაინც გეცოდინებათ, როგორ წარიმართა გამოფენა?***

– ამბობენ, კიდევ სამ ქალაქში უნდა გამოიფინოს, რაც 2000 წლის ბოლომდე გაგრძელდება, მერე კი სხვა ქვეყნებშიც გადაინაცვლებსო. დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით.

***– საოცარია, ლამის ერთადერთი მემკვიდრე ბრძანდებით და...***

– მერე ვინ მეკითხება. ჩემი არაფერი არ არის! აქეთ ვახსენებ ხალხს თავს. არადა, ძალიან ვნერვიულობ, ნამუშევრები ბაბუას ძველი დავთრებისა და საბუთების უკანა გვერდებზე, გაცრეცილ, ფარატინა ფურცლებზეა შესრულებული და მათი ასე ხელაღებით გადაადგილება არ შეიძლება. თანაც ისე სასაცილო თანხადაა დაზღვეული, თქმაც კი მრცხვენია. ხანდახან შიშიც მიპყრობს, ვაითუ, ველარ ვნახო. რა ვიცი რა იქნება...

– – – – – –

*ქნი მარინეს პესიმიზმი, შესაძლოა, მავანს გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ვარდისფერი ოცნება პეტრე ოცხელის მუდმივი ექსპოზიციის თაობაზე, ისევ ოცნებად რჩება და რამდენი ასეთი ფაქტია ჩვენს გვერდით. ამის დასტურად, თუნდაც შესანიშნავი მხატვრის ლენო თურქიას მაგალითიც იკმარებს, რომლის არაჩვეულებრივი ნამუშევრებიც უკვე კარგა ხანია ელის მისთვის განკუთვნილ კუთხეს. რა უდარდელი ხალხი ვართ ქართველები, რა დაუდევრად ვექცევით ეროვნულ განძს!!*

***მანანა იმედაშვილი***

# მზია არაბულს არ უყვარს, როცა პირადულზე ეკითხებიან



— „ვცდილობ ჩემი შრომით ვქამო პური, ასე მასწავლის უფალი. სპექტაკლის შემდეგ კარგ ხასიათზე ვარ, თუ რითიმე დავითრგუნები, ასეთი არც როლი მინდა და არც სპექტაკლი",— ასე დაიწყო საუბარი მსახიობმა მზია არაბულმა

[illegible]



[illegible]



ესაუბრა **ნანული ბუკია**

# სადღაც, შორს...

ქუჩაში ძველ, ოჯახიდან გამოტანილ წიგნებს ყიდდნენ. რამდენიმე გადავათვალიერე. ლექსების კრებულში ნაწერი ქაღალდი ჩარჩენილიყო: ცნობისმოყვარეობამ მძლია და გადავიკითხე.

,,ისევ ჩხუბობენ. თითქოს მე და ჩემი ძმა არც ვარსებობდეთ. რა უცხოები არიან ახლა ჩემთვის. ვინმემ რომ მკითხოს, რას ინატრებდიო, არც დავფიქრდებოდი ისე ვუპასუხებდი: მინდა სადმე შორს გადავიკარგო, რომ დედის გაავებული ხმა ვერ გავიგონო და მამის ამღვრეული თვალები ვერ დავინახო".

წიგნის ყიდვა არც მიფიქრია, ცუდი გუნება კი დიდხანს გამყვა. ფიქრებიც კი ვერ მოვიცილე. რა ბედი ეწია ამ სტრიქონების ავტორს, რომელიც, ლამაზად და სუფთად გამოყვანილი ასოების მიხედვით, გოგონა უნდა ყოფილიყო. სად არის ახლა, ვის დაუკავშირა თავისი ბედი, ან იქნებ მართლა გადაიკარგა სადღაც, შორს?

ოჯახი — ყველა სიკეთის თუ ბოროტების სათავე, ქვეყნის საძირკველი, ,,სახელმწიფო სახელმწიფოში". ოჯახი ის საიმედო ნავსაყუდელია, სადაც მიიჩქარი, მიგიხარია, რადგან იცი, რომ იქ საყვარელი, ახლობელი, ერთგული ადამიანები მოუთმენლად გელიან, სადაც მზად არიან უსასრულოდ მოგისმინონ, მხარში ამოგიდგნენ.

რაღა ბევრი გავაგრძელო და ეს ყველაფერი, ფსიქოლოგების განმარტებით, მხოლოდ ჰარმონიულ ოჯახებში ხდება თურმე. იქ დიდიც და პატარაც ლაღად, მშვიდად, დაცულად გრძნობს თავს. პრობლემა ასეთ ოჯახებშიც ბევრია, მაგრამ ოჯახის თითოეული წევრი გრძნობს, რომ მის დარდს გაინაწილებენ, სიხარულს გაიზიარებენ, შეცდომებს შეუნდობენ და არ დასცინებენ.

სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, დღეს საქართველოში ჰარმონიული ოჯახები იშვიათია. ამას უამრავი მიზეზი განაპირობებს.

ამერიკელი ფსიქო-თერაპევტი ვირჯინია სატირი, რომელიც ოჯახის ფსიქოლოგიის და თერაპიის ფუძემდებლად ითვლება, გვირჩევს გახსნილად, ბუნებრივად გამოვხატოთ დადებითი ემოციები. მისი აზრით, ადამიანები ყოველდღიურად უნდა ხვეწდნენ ურთიერთობების ფორმებს. ოჯახი ურთულესი ფენომენია. ადამიანების უმეტესობა ეგუება ისეთ ცხოვრებას, რაც განგებამ არგუნა და მის შეცვლას არც კი ცდილობს. შეცვლაში, ბუნებრივია, მეუღლის შეცვლას არ ვგულისხმობ... ურთიერთობების დახვეწაზე, ერთმანეთის მოსმენაზე, გაგებაზე მოგახსენებთ.

დღეს უმძიმესი ფსიქოლოგიური კლიმატია ქვეყანაში. ყველგან, შინ თუ გარეთ, იმდენი პრობლემა არის ჩასაფრებული, მათი მოგვარება საიდან დავიწყოთ, აღარც კი ვიცით.

ფსიქოლოგები კი გვირჩევენ, რომ ყველაფერი საკუთარი ოჯახიდან უნდა დავიწყოთ, უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა და დანახვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანების უმრავლესობა მოსმენის კულტურის დეფიციტს განიცდის. როცა ადამიანს რაიმე აწუხებს ან რაღაც პრობლემა აქვს, მას რჩევა-დარიგებებზე, ან დატუქსვაზე მეტად ახლობლის მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება, მოგეხსენებათ, ამინდს ოჯახში ქალი ქმნის. ის ტონი კი, რაზეც ოჯახის წევრების საუბრობენ, ქალისგან მოდის.

ფსიქოლოგები არ გამორიცხავენ, რომ ოჯახის ერთი წევრი შეიძლება მეორე წევრის გავლენის ქვეშ მოექცეს, მით უფრო, როცა მატერიალურად არის მასზე დამოკიდებული. მათი აზრით, მთავარი ის კი არ არის, რომ ავირიდოთ ზეწოლა, არამედ უნდა შევძლოთ ამ ზემოქმედების მართვა. სასიკეთო ცვლილებები ცხოვრების ყველა ეტაპზეა შესაძლებელი. ჩვენი გრძნობები, აზრები, ენერგია ჩვენვე გვეკუთვნის და უნდა შევძლოთ საკუთარი თავის მართვა. ვალდებულებიც ვართ, რადგან პრობლემურ ოჯახებში ბავშვები დათრგუნულები იზრდებიან. მათ დიდრონ თვალებში სევდა არის ჩაბუდებული. პატარა გულებში კი — უდიდესი ტკი-

პატარა სამედიცინო ინფორმაციები

## ნაპოვნია მორცხვობის გენი

ვიწრო სახიანი ადამიანები ფართოსახიანებზე უფრო მორცხვები არიან, — ამტკიცებენ ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერები.

მათ მიაჩნიათ, რომ გენი, რომელიც სახის ძვლების ზომას განსაზღვრავს, იმავდროულად გავლენას ახდენს ადამიანის თავის თავში დარწმუნებლობაზე.

## უძილობის წამალი

თუ არ გეძინებათ, სულ არ არის აუცილებელი შუაღამემდე ,,სპილოები თვალოთ". საკმარისია ბალიშზე ლავანდის ზეთის რამდენიმე წვეთი აპკუროთ. ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ამ მცენარის სუნი ნებისმიერ საძილე პრეპარატზე ნაკლებად არ მოქმედებს.

## ჩაი — კიბოს წინააღმდეგ

თუ გსურთ თავიდან აიცილოთ კინის კიბო, რაც ასე გავრცელდა ბოლო ხანებში, სვით ჩვეულებრივი შავი ჩაი — გვირჩევენ ავსტრიელი მეცნიერები. ლაბორატორიული კვლევით დადასტურდა, რომ თაგვებზე, რომლებსაც შავ ჩაის ასმევდნენ, ულტრაიისფერი სხივების მავნე ზემოქმედება (ავადმყოფობის ძირითადი მიზეზი) ორჯერ ნაკლებია, ვიდრე იმ თაგვებზე, რომლებსაც ჩვეულებრივ წყალს ასმევდნენ.

სწავლულები ვარაუდობენ, რომ ჩაი ადამიანებზეც ასეთსავე ზემოქმედებას ახდენს.

## ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობს? — ელოდეთ ინფარქტს, ინსულტს, კიბოს.

ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მძაფრი ოჯახური სცენები, ჩხუბი, ყვირილი — უარყოფითად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე. რამდენიმე ასეული ცოლ-ქმრის გამოკვლევით დადგინდა, რომ ოჯახური ,,გარჩევების" დროს ორგანიზმში მნიშვნელოვნად იმატებს სტრესის ჰორმონების გამოფრქვევა. ხოლო თუ ეს ჩხუბი და დავიდარაბა ხშირია, იზრდება ინფარქტის, ინსულტის და, ასე გასინჯეთ, კიბოთი დაავადების რისკიც.

## დამამშვიდებელი მომპასი

დამტკიცებულია, რომ საუკეთესო საშუალება ექიმთან რაიმე პროცედურის, ან ოპერაციის წინ ნერვიულობის მოსახსნელად არის ჩვეულებრივი მომპასი.

ტეხასის შტატში ჩატარებული გამოკვლევებით, პაციენტთა 70 პროცენტი ,,მანდრაჟის" მოსახსნელად სწორედ ამ საშუალებას მიმართავს.

## ფანტაზია — პრობლემის გადაჭრის გზა

კაცი, რომელიც ფანტაზიორობს — თავის პრობლემებს უკეთ წყვეტს.

ამერიკელი გერონტოლოგი ექიმი ლეონარდ გიამბრა გვირჩევს: იოცნებეთ ყოველდღიურად. ჩააქრეთ სინათლე, ჩართეთ მელოდიური მუსიკა, მოდუნდით და თავისუფლად მიუშვით თქვენი ფანტაზია. ეს კი დაგეხმარებათ რთული სიტუაციიდან გამოსასვლელი გზის მოძებნაში.

ჟურნალი ,,ზდოროვიე"



ვილი.

უამრავ შემაშფოთებელ სტრიქონს ამოიკითხავთ ფსიქოლოგების ჩანაწერებში: „ვიცი, რომ დედას ვუყვარვარ, მაგრამ როცა უსიამოვნებები აქვს, ჯავრს ჩემზე იყრის, სულ მიყვირის და მეჩხუბება“...

„ჩემი მშობლები ადამიანად არ მთვლიან. სულ რაღაცას ჩამჩიჩინებენ“...

„მამა თითქმის არ მისმენს. სულ იმას მეუბნება, არ მცალია, დაღლილი ვარ, თავი დამანებეო“...

„რა ბედნიერი ვარ, როცა ავად ვხდები. მაშინ დედაც და მამაც თავს დამტრიალებენ, ჩემს გვერდით არიან. მაგრამ მოვიკეთებ თუ არა, მაშინვე ვაviწყდები ორივეს“...

გული გეტკინათ? იქნებ თქვენი პატარებიც ამას ფიქრობენ, მაგრამ არ ამბობენ.

ყოველდღიური პრობლემებით დაღლილი მშობლებისაგან დაუკვირვებლად წამოსროლილი თითქოსდა უმნიშვნელო ფრაზები: „შენი თავი არა მაქვს“, „თავი დამანებე“, პატარებს ემოციური სიმარტოვის გრძნობას უყალიბებს. ისინი გამუდმებით საჭიროებენ მშობლების სიყვარულს, მოითხოვენ მათ მხარდაჭერას.

სიმარტოვის განცდა უკვალოდ არ ქრება, შემდგომში ბავშვის უცნაურ ქცევებში, მავნე ჩვევებში გამოიხატება.

უფრო მეტიც, მოზარდები ქუჩას აფარებენ თავს, სახლიდან გარბიან, ხან კი საუბედუროდ, თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს.

საერთო ენის გამონახვა საკუთარ შვილთან ბევრ მშობელს უჭირს. არადა, თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები არ დავკარგოთ, მხოლოდ მეგობრული, ნდობის ტონით უნდა ვესაუბროთ მათ.

და კიდევ ამერიკელი ფსიქოთერაპევტის დაკვირვებით, დედის ალერსი, უბრალოდ თავზე ხელის გადასმა რამდენიმე ფსიქოთერაპიული სეანსის ტოლფასი ყოფილა.

თითქოსდა ყველაფერი რა ადვილია, არა? თითქოსდა...

„დედა, დედიკო, მენატრები. შენი ალერსი, სითბო მენატრება. მე სათამაშოები კი არა, შენი მოფერება და კოცნა მინდა“...

ყველაზე მძიმე წუთებშიც კი ნუ გაექცევით საკუთარ შვილებს. თავს არ მისცეთ ამის უფლება სულ მცირე ხნითაც კი! უყურადღებობით მხოლოდ გააბოროტებთ და გააუცხოებთ პატარას. იყავით შვილის თანატოლი და აუცილებლად გაითვალისწინეთ ფსიქოლოგების რჩევა: დაუკვირდით, დღის განმავლობაში რამდენჯერ შეაქეთ, გაუღიმეთ, გამხნევეთ შვილი და რამდენჯერ დატუქსეთ, გაუბრაზდით.

თუ უარყოფითი სჭარბობს დადებითს, ე.ი. თქვენ, უბრალოდ რომ ვთქვათ, უსამართლოდ ეპყრობით თქვენს პატარას.

ერთი პედაგოგის სიტყვები მახსენდება: „ხშირად მშობლები ჩივიან, მასწავლებლები ბავშვებს უხეშად ექცევიანო. შესაძლოა ასეც ხდება ხანდახან, მაგრამ მერწმუნეთ, ვერც ერთი მასწავლებელი იმდენ შეურაცხყოფას ვერ მიაყენებს, რამდენსაც თავად მშობელი საკუთარ შვილს“.

არასოდეს არის გვიანი. ხშირად გაუღიმეთ პატარას, გულში ჩაიკარით, თავზე გადაუსვით ხელი. გულში ჩაღვრილი სითბო თქვენც ახალი ენერგიით და ხვალინდელი დღის იმედით აგავსებთ. სითბო და ალერსი პატარებს ჰაერზე, პურზე და ლამაზ სათამაშოზე მეტად სჭირდებათ.

ნუ გადაკარგავთ საკუთარ შვილებს სადღაც შორს!..

*მარინე ნაკაიძე*

# სახლი — უხიფათო ზონა

მშობლებს ზოგჯერ ვერც წარმოუდგენიათ, რომ ბავშვს ხიფათი ქუჩაზე მეტად შეიძლება სახლში შეემთხვეს. აბა, კარგად მიიხედ-მოიხედეთ თქვენს ოთახებში. ვერაფერს ამჩნევთ?

...როგორც კი ბავშვი გაუჩნდა, მამ ყველა ფანჯარაზე რკინის ცხაური გააკეთებინა. შტეპსელებზე სპეციალური დასაგმანები გააკეთა და თავი მოსვენებულად იგრძნო.

... სანამ დედა ტელევიზორს უყურებდა, პატარამ სათითაოდ გადაყლაპა მისი მარჯნის მძივები, რომელიც შემთხვევით სარკესთან დარჩენოდა.

... ჩაი რომ აადუღა, იამ ელექტროჩაიდანი კი გამორთო, მაგრამ მავთული მაგიდას ჩამოცილებული დარჩა. პატარა გიას მაშინ მიუსწრეს, როცა მავთულს ქვემოთ ექაჩებოდა. წამიც და...

... ბებო, კალთაში ჩამისვი! — თხოვა ქეთიმ ბებოს, რომელიც ჩაის სვამდა. ბავშვმა ხელი წაავლო ფინჯანს და...

მოდით, ერთად ვიფიქროთ, როგორ შევამციროთ უბედური შემთხვევის რისკი.

**ნუ გადატვირთავთ ოჯახს ავეჯით.**

**ღია კარადების ქვედა თაროებიდან აიღეთ წვრილი, გასატეხი ნივთები და სამშვენისები.**

**კარადები გასაღებით ჩაკეტეთ.**

**მართალია ლამაზია, მაგრამ შუშის ზედაპირიანი დაბალი მაგიდები უნდა გაიტანოთ სახლიდან.**

**შტეპსელები დაგმანეთ სპეციალური მოწყობილობით.**

**მოერიდეთ დივანზე ბევრი რბილი ბალიშის დაწყობას. შეიძლება თამაშის დროს ბავშვმა თავი შეჰყოს ქვეშ და დაიხრჩოს.**

**განსაკუთრებით სახიფათო ზონა — სამზარეულო!**

**2-3 წლის ბავშვი სჯობს სულ არ შეუშვათ სამზარეულოში.**

**თუ ეს შეუძლებელია, ქურასთან მისასვლელი მაინც ჩახერგეთ.**

**როცა გაზქურაზე საჭმელს ამზადებთ, ისარგებლეთ უკანა კამფორებით.**

**ქვაბების და ტაფების სახელურები შეაბრუნეთ კედლისაკენ.**

**სარეცხი და სახეხი ფხვნილები, ასევე წამლები შეინახეთ დაკეტილ ყუთებში ბავშვისთვის მიუწვდომელ ადგილებში.**

**ელექტრო ჩაიდანის, უთოსი ან სხვა ხელსაწყოების მავთულები არასოდეს დატოვოთ ისე, რომ ბავშვმა ხელი წაავლოს.**

**კარადა, რომელშიც ნაგვის ვედრო დგას, მჭიდროდ დაკეტეთ.**

**უჯრები, რომლებშიც ნემსები, მაკრატლები, დანები, ჩანგლები და ა.შ. აწყვია, დაკეტეთ.**

**დაუმალეთ ასანთი ბავშვებს.**

**როცა ჩაის ან ყავას სვამთ, ნუ დაისვამთ ბავშვს მუხლებზე.**

**თუ გაზის ქურა ჩართული არ გაქვთ, დაკეტეთ ზედა ვენტილი.**

# SOS

იბერიულ-კავკასიური ხალხები, დღეს მცირერიცხოვანი, უკიდურეს განსაცდელში არიან. ივერთა შთამომავალნი ყოველთვის მართლმადიდებლური ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ამ ხალხების ღვთაებრიობის წინააღმდეგ ბრძოლა უხსოვარი დროიდან მომდინარე, დღესაც გრძელდება. როცა შედეგი ვერ გამოიღო ფიზიკურმა განადგურებამ, ნაძალადევად რჯულის შეცვლამ, ივერის ღვთისმშობლის წილხვედრობის გამო, ლუციფერის ხელქვეითებმა სხვა ხერხებს მიმართეს.

ქრისტიანული სარწმუნოების ორიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, ეშმამ ბრძოლის დახვეწილი თანამედროვე მეთოდები შეიმუშავა. მათ შორის უპირველესი სექტების გაჩენა, ადამიანთა ზომბირება, გადაბირება, გახრწნა, მოსყიდვა.

მართლმადიდებლური ქვეყნების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო, ექსპერიმენტულ ბაზად შეირჩა საქართველო, რუსეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და სხვა ერთმორწმუნე ხალხთა ტერიტორიები. ბრძოლა დაიწყო ფარული, ფსიქოტრონული, ყველაზე დამანგრეველი და ულმობელი, მათი მიზანი კი მადლისა და სიწმინდეთა მიტაცებაა.

1974 წელს ამერიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს დაუმტკიცებია საიდუმლო გეგმა „ენ-ეს-ეს-ემ 200“, რომელიც ითვალისწინებს მესამე სამყაროს ხალხების რაოდენობის ზრდის შეჩერებას. მაშინ მათ რიცხვში საბჭოთა კავშირის ხალხები არ შედიოდა. 1999 წელს კაიროში გაეროს კონფერენციას მოსახლეობის რეგულირების პროგრამა შესთავაზეს. ამ პროგრამით ქალთა ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობაა გათვალისწინებული, კონკრეტულ ღონისძიებებად გათვალისწინებულია სექსუალური განათლება, სტერილიზაცია, კონტრაცეფცია. დამფინანსებლებში ფიგურირებს მსოფლიო ბანკი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, იუნესკო, გაეროს მოსახლეობის ფონდი, ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მოსკოვის განყოფილებაში საინტერესო დოკუმენტი აღმოუჩენიათ „1999 წელს მოსახლეობის კონტროლზე მოკლე მოხსენება“, იგი მოსახლეობის შემცირებას, შესაბამისად ამერიკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდას გულისხმობს.

მისია რუსეთში კონტრაცეპტივების უფასო დარიგებათა და სქესობრივი განათლების პროგრამების დაფინანსებით ხორციელდება. იგივე დაიწყო საქართველოშიც.

აღნიშნულს დავუმატოთ ადამიანთა ზომბირება ძალადობის და სექსის პროპაგანდით, და ნათელი ხდება, რომ მხეცსა და კრავს შორის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. აქ დიდია ჩვენი მართლმადიდებლური რწმენის როლი და მისი მისია, რათა ბრძოლა ნაკლები დანაკარგებით დამთავრდეს, კრავის გამარჯვებაში კი ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

ლუცეფერის მსახურთა გეგმები მზაკვრულია და გადამჭრელი ზომებია მისაღები. მათი გეგმები ყველასათვის ნათელი უნდა გახდეს.

*ბადრი ჩლაიძე*

კანისა და ვენსნეულებათა ინსტიტუტის დირექტორი

# ბათუმში, ციური კუკულაძესთან

ბათუმელი ციური კუკულაძე კვანტური თერაპიის დიდოსტატია, სულსა და გულს აქსოვს საქმეში, — ამიტომაც სისხამ დილიდან გვიან საღამომდე რიგია მის სახლთან. ციური წარმატებით მკურნალობს ოსტეოქონდროზს, იშიაზს, რადიკულიტს, ცისტიტს, კუჭ-ნაწლავთა დაავადებებს, ქოლეცისტიტს, ჰაიმორიტს, ფრონტიტს, სისხლძარღვების შევიწროებას, იშემიურ დაავადებებს, პროსტატიტს, ურეთრიტს, ართრიტს, ნევროზებს...



სანამ კვანტურ თერაპიაში სცდიდა ბედს, მანუალურ თერაპიაში მუშაობდა. სწორედ ამ დარგში მიაღწია წარმატებას და პაციენტთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ციური ხშირად გასამრჯელოს გარეშე მუშაობს; — დღეს ხალხს უჭირს, ავადმყოფს, რომელსაც ფული არა აქვს, ხელი როგორ მოვაკლო, მერე ღვთის წინაშე როგორღა წარვდგეო, — იტყვის ხოლმე მადლიანი მკურნალი.

ციური ყველას მიმართ ყურადღებიანია, ეგ არის, რომ საკუთარი თავი ავიწყდება ხოლმე. ზოგჯერ შეიძლება, ისე დაღამდეს, რომ ლუკმა ვერ გასინჯოს. სიკეთე და თავდადება ციურის დედისგან დაჰყვა, — დედამისი ქართველი ქალის ყველა დადებითი თვისებით შემკული მანდილოსანი, სიცოცხლის ბოლომდე სხვების კეთილდღეობაზე ზრუნავდა, თვითონ იკლებდა და ხელმოკლეებს ლუკმას უნაწილებდა...

ციურის პაციენტებს სამი დიდი ჟურნალი შეუვსიათ მადლობის ბარათებით, რომელთაგან მოვიტან მხოლოდ ერთს, 2000 წლის 25 მარტით დათარიღებულ ლილი დავითულიანის წერილს: „... დაავადებული ვიყავი ოსტეოქონდროზის უმძიმესი ფორმით. წელში მოხრილი და საწოლს მიჯაჭვული დამოუკიდებლად ვერ ვმოძრაობდი. სოფლიდან დიდი გაჭირვებით ჩამომიყვანეს ბათუმში. ქალბატონი ციური ჯერ მანუალური თერაპიის კურსს მიტარებდა, შემასწავლა შესაბამისი ვარჯიშები და დიეტა. პირველი კურსის შემდეგ წელში გავიმართე და უკვე დამოუკიდებლად დავიწყე სიარული მასთან ბინაზე, კვანტური თერაპიის კურსისთვის. ჩავიტარე 15 სეანსი და ახლა თავს ისე ვგრძნობ, თითქოს არც არასოდეს ვყოფილვარ ავად.

ციური კუკულაძემ დამიბრუნა სიხარული და ცხოვრებისადმი ინტერესი. და, ეს ყველაფერი უანგაროდ გამიკეთა...“

... სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, — ციურის დათესილ სიკეთეს მისი ქალიშვილი და შვილიშვილი მოიმკიან.

ბათუმში, ციური კუკულაძის სახლთან პაციენტთა რიგი არ წყდება.

*ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გუდიაშვილის სარკე"



1964 წელი ღირსახსოვარი თარიღი იყო კულტურის ძეგლთა დაცვის, მოვლა-პატრონობის საქმეში. ამ წელს დაარსდა ეროვნული ჟურნალი „ძეგლის მეგობარი", რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ იმ დროის გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: შ. ამირანაშვილი, ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, თ. ბუაჩიძე, ლ. გოთუა, ლ. გუდიაშვილი, ნ. კეცხოველი, ლ. მატარაძე, გ. ჩიტაია, გ. ჩუბინიშვილი, კ. სოხაძე, ლ. ხიმშიაშვილი. მთავარი რედაქტორი იყო მაშინდელი კულტურის მინისტრი, საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე — თ. ბუაჩიძე. თემატიკის მიხედვით თითოეულ ნომერს მორიგეობით რედაქტორობდნენ კოლეგიის წევრები, გარდა ლადო გუდიაშვილისა (არ ვაწუხებდით). ჟურნალი საზოგადოებრივ საწყისებზე სამ თვეში ერთხელ გამოდიოდა. ჟურნალს შტატში არ ჰყავდა არც მხატვარი, არც ტექრედაქტორი, არც ფოტოგრაფი, არც კორექტორი.

მე გახლდით ამ ჟურნალის პასუხიმგებელი მდივანი. ეს ჩემთვის დიდი პატივი და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაც იყო. მეამეყბოდა ამ სახელოვან ადამიანთა გვერდით ყოფნა. თავს არ ვზოგავდი, რაც კი შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი. მე მიხდებოდა დაკავშირება მხატვრებთან, ფოტოგრაფებთან, ავტორებთან, ამას ემატებოდა სარედაქციო სამუშაო, კონტაქტი სტამბასთან, ეს კი რამდენამდე უმსუბუქებდა რედაქტორებს მუშაობას, რის გამოც ისინი საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ და, ნომრის გამოსვლისას, პირველ ეგზემპლარს გულთბილი წარწერით მჩუქნიდნენ. პირველად ბატონმა ლევან გოთუამ (ის იყო პირველი ნომრის რედაქტორი) წამიწერა გულთბილი ავტოგრაფი ციმციმ მიტანილი ლაქშეუმშრალი ჟურნალის პირველ ნომერზე. შემდეგ ეს თითქოს ტრადიციად იქცა. ყოველივე ეს ძალიან მახარებდა, სტიმულს მაძლევდა მუშაობაში. ახალგაზრდა ვიყავი, უმაღლესი დამთავრებული მქონდა, ასაკთან შედარებით კიდევ უფრო პატარას ვგავდი, რადგან გამხდარი და ტანმორჩილი ვიყავი, თანაც კიკინებს ვატარებდი.

გამოდიოდა ჟურნალის მეექვსე ნომერი. მორიგე რედაქტორი გახლდათ ა. აფაქიძე. გარეკანის გაკეთება დიდი მორიდებით ვთხოვე ბატონ ლადო გუდიაშვილს, რაზეც, მოულოდნელობის მიუხედავად, მაშინვე დაგვეთანხმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონმა ლადომ რედაქციაში დარეკა, — გარეკანი მზად არის და წაიღეთო. სტამბიდან რომ მოვედი, ეს ამბავი დამახვედრეს. ბუნებრივია ძალიან გვაინტერესებდა, რა დაგვიხატა ბატონმა ლადომ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბატონი ლადო კოლეგიის სხდომებს არ ესწრებოდა, საპატიო წევრი უფრო იყო, ამიტომ პირადად არ მიცნობდა. დაღლილი ვიყავი, მაგრამ ბატონი ლადოს პირადად გაცნობის შემთხვევა არ მინდოდა ხელიდან გამეშვა, თანაც ეს ჩემს მოვალეობაშიც შედიოდა (კურიერი არ გვყავდა).

ბატონმა ლადომ თავაზიანად შემიპატიჟა, მაშინვე გამომიტანა გარეკანის ესკიზი, რომელსაც ზემოდან სათუთად კალკის ქაღალდი ჰქონდა გადაკრული. მაშინვე ავხადე. ყდაზე რუსთაველი იყო გამოსახული გადაშლილი „ვეფხისტყაოსნით" (მზადება მიმდინარეობდა რუსთაველის იუბილესათვის), კედელმორღვეულ ძეგლის კედელს და ფრესკას წვიმის წვეთები ცრემლებივით ჩამოსდიოდა, გარეკანის მარჯვენა კუთხეს კი საზოგადოების ემბლემა ამშვენებდა. ყველაფერი ეს გასაოცარ ფერებში იყო გადაწყვეტილი. სანამ გახარებული გარეკანს ვათვალიერებდი, ბატონი ლადო კარადებში რაღაცას ეძებდა, რომ ვერ იპოვნა, თავისთვის ჩაილაპარაკა — რაღა ახლა არ არის ნინო სახლშიო. მე, რა თქმა უნდა, ვერ მივხვდი, რა ეძებდა, უცებ ბატონმა ლადომ ძებნას თავი მიანება, თითქოს გამოსავალს მიაგნოო, ღიმილით ამოიღო ჯიბიდან ტკიცინა ხუთმანეთიანი და ხელში მომაჩეჩა — ახალი ნაახალწლევია, აქედან რომ გახვალ, ამით კანფეტები იყიდეო (კურიერი გოგონა თუ ვეგონე). უცებ შევცბუნდი, მაგრამ მხოლოდ წამით, რა უნდა მექნა, უხერხულ მდგომარეობაში ხომ ვერ ჩავაყენებდი, საჩუქარზე უარს ხომ ვერ ვიტყოდი. მადლობა გადავუხადე, ფული გამოვართვი და გარეთ გამოვვარდი. ტუჩებს თავს ძლივს ვუყრიდი, რომ ღიმილი შემეკავებინა. ჩემდა გასაოცრად, თავს შეურაცხყოფილად სულაც არ ვგრძნობდი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარე, ცოტა დავმშვიდდი და გავიფიქრე — კანფეტების ნაცვლად ამ ფულით რაიმე წიგნს ვიყიდი ბატონი ლადოს სახელზე-მეთქი და რუსთაველზე წიგნების მაღაზიისკენ გავეშურე. რაც მომეწონა, ამ თანხით არ მომივიდა, თანაც რატომღაც მინდოდა, ზუსტად ხუთი მანეთი ღირებულიყო. მერე იქვე გვერდით გალანტერიის მაღაზიაში შევედი. შესვლისთანავე დავინახე მაგიდაზე დასადგმელი ფეხიანი სარკე, მაშინვე თვალში მომხვდა ფასი — ხუთი მანეთი. ბევრი აღარ მიფიქრია, სარკე შევიძინე და წამოვიღე. მას შემდეგ გაჩნდა ჩვენს სახლში საოჯახო რელიქვია — გუდიაშვილის სარკე".

"ძეგლის მეგობრის" მეექვსე ნომრიდან დაიწყო ჩვენი პირადი ნაცნობობა, რადგან მომიხდა მუშაობა ბატონ ანდრია აფაქიძესთან და ბატონ ლადო გუდიაშვილთან.

ამგვარად, ამ ნომერზე მუშაობისათვის ორი ძვირფასი ავტოგრაფი მივიღე — ერთი მორიგე რედაქტორისაგან, მეორე, — ბატონ ლადო გუდიაშვილისაგან. მან თავისი ალბომი მაჩუქა წარწერით.

აი, ისინიც: „პირველი წიგნი ზაირა სტურუას — ამ საქმეზე ფრიად დამაშვრალს. მადლობით დახმარებისათვის — ა. აფაქიძე 25.IV. 1966".

„ძვირფას ზაირა სტურუას! სიყვარულით და პატივისცემით ეს პატარა საჩუქარი მიიღეთ სახსოვრად.

თქვენ კი, პატივცემულო ზაირა, დაუღალავი შრომის, ქართული კულტურის მოამაგეს და დიდ ენთუზიასტს მადლობა და ყოველი კეთილი ცხოვრებაში და შემოქმედებაში.

პატივისცემით ლადო გუდიაშვილი"
11 ნოემბერი, 1968 წ.

ზაირა სტურუა

21733

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლამაზი ქართველების მუზეუმი

აკადემიკოსი ირაკლი ჭუმბურიძე თავის მონოგრაფიულ წიგნში წერს, რომ მას ჰყოლია ძალიან ლამაზი ბიცოლა ბებე ჯაიანი, რომლის სურათიც გამოფენილი ყოფილა ჰოლივუდის ლამაზ ქალთა მუზეუმში. ამის შესახებ მისთვის უცნობებია შორეული ნაოსნობის კაპიტანს ვახტანგ ბარათაშვილს, რომელსაც პირადად უნახავს მუზეუმში გამოფენილი ქართული გარეგნობის ულამაზესი ქალის სურათი წარწერით „ჯორჯიენ პრინსეს — ბებე ჯაიანი“. ბატონი ირაკლის დედის ძმას ელიზბარ ხუნდაძეს მივლინებით ამერიკაში ყოფნისას თავისი ცოლის სურათი გრავიურის დასამზადებლად მხატვრისთვის მიუტანია, ამერიკელ ხელოვანს სურათი არ დაუბრუნებია ელიზბარისთვის, სამაგიეროდ ჰოლივუდში გამოუფენია.



როდესაც ამის შესახებ შევიტყვე და ჟურნალ „საქართველოს ქალში“ წავიკითხე ქალბატონ ნარგიზა მგელაძის წერილი დამანა მღივნიშვილის მიერ გამოცემულ ლამაზ ქართველ ქალთა ალბომის „მშვენიერთა სავანე“ შესახებ, გამახსენდა ოდესღაც ჟურნალ „ნაუკა ი ჟიზნში“ წაკითხული სტატია, რომელშიც ეწერა, რომ მიუნხენში გახსნილია მსოფლიოს ლამაზ ქალთა მუზეუმი, რომელთა შორის არცერთი ქართველი ქალის სურათი არ არის. მუზეუმის დამფუძნებელს ლუდვიგ პირველს უთქვამს: მინდა მიუნხენი ისეთ ქალაქად გადავაქციო, რომელიც გერმანიას დიდებას მოუტანს, მინდა ხალხში გავრცელდეს აზრი — ვინაც ეს მუზეუმი არ უნახავს, მან არ იცის, რა არის სილამაზე, რა არის გერმანია, კერძოდ კი მიუნხენი.

იქვე გამოქვეყნებულია მიუნხენის მუზეუმში გამოფენილი სურათების ფოტოასლები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვერცერთი მათგანი ქართველ ქალებს სილამაზით ვერ სჯობნის.

იქნებ მივვებაძა ჰოლივუდისა და მიუნხენისათვის და თბილისშიც გაგვეხსნა ლამაზ ქართველ ქალთა მუზეუმი. მით უფრო, რომ ასეთი ქალები საქართველოში სანთლით საძებარნი არ არიან. იქვე მოვიყვანდით თავს ქართველ ბანოვანთა სილამაზეზე გამოთქმულ აზრებს. აი, მაგალითად, რას ამბობს ქართველ ქალზე ფრანგი მოგზაური ჟან შასონი:

„ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შეიძლება ითქვას, მთელს ქვეყანაზე. აქ არ მინახავს არცერთი ცუდი სახის ქალი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვედრია. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ისეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა“.

ცნობილი რუმინელი პოეტი ვიქტორ კერნებაზი კი ამტკიცებს: „ქართველი ქალის სილამაზე ნამდვილად ანგელოზურია. მივჩერებოდი და თვალს ვერ ვაშორებდი ტანკენარ, ჯანსაღ ძლიერ ვაჟებსა და ქალიშვილებს, მივჩერებოდი და ვფიქრობდი, რომ როდესაც ადამიანმა შექმნა ღმერთის სახება, იგი უთუოდ თავისი ქართული სახისა და მოდელის მიხედვით „გამოძერწა“.

და რამდენი ასეთი გამონათქვამი მოიძებნება. რატომ არ ვიამაყოთ, რაც საამაყოა, იმით?

თუნდაც ის რად ღირს, რომ ქართველ ქალებს სხვა ერის წარმომადგენლები იტაცებდნენ, რომ თავიანთი შთამომავლობა გაეკეთილშობილებინათ.

ჰოდა, მოდი ვიფიქროთ არა მარტო ლამაზ ქალთა, არამედ შესანიშნავი გარეგნობის მამაკაცთა მუზეუმზეც. რამდენადაც ვიცი, ასეთი მუზეუმი ჯერ არსად არსებობს. არადა, რატომ არ უნდა იცოდეს შთამომავლობამ, „ვისი გორისაა?“

დასაწყისში რომელიმე არსებულ მუზეუმში გამოვყოთ ოთახი, რომლის კედლებზეც დაიგანებს „მშვენიერთა სავანე“. მერე კი... ოცნებას კაცი არ მოუკლავს.

ნიკო ხატიაშვილი

## სამი სიხარული



დახედეთ ამ სურათს. განა მას განმარტება სჭირდება? ბედნიერი მამა — სამხედრო ოფიცერი რომან ჯოხაძე თავის სამ ტყუპთან — რაულ, სანდრო და მარიამთან ერთად.

ოქტომბერში ბავშვები წლისანი გახდებიან.

რომანი და მისი მეუღლე თინა აბაშიძე სამგზის ბედნიერები არიან.

ღმერთმა უშველოს ყველა ბავშვს, ყველა ტყუპს. აი, ასეთი ტემპით რომ ვმრავლდებოდეთ ქართველები, ჩვენს ბედს ხომ ძაღლი არ დაჰყეფდა.



# როგორც თავვი არ ესხმის სპილოს ისე ლატვია — რუსეთს

ლატვიის პრეზიდენტი, ქალბატონი ვაირი ვიკე-ფრეიბერგა თვეში ერთ საათს უთმობს ჟურნალისტებს. ამას წინათ ის ესაუბრა „ვლასტის" კორესპოდენტს გენადი სისოევს;

— როგორ გახდით პრეზიდენტი?

— მთხოვეს კენჭი მეყარა პრეზიდენტობაზე და მეც დავთანხმდი. ეს გადაწყვეტილება შარშან არჩევნების წინ მივიღე. მხარი რამდენიმე პარტიამ დამიჭირა. მაგრამ თავად იდეა უფრო ადრე გაჩნდა. ლატვიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩემთან კანადაში ჩამოდიოდნენ ადამიანები და მეუბნებოდნენ, რომ ცუდი პრეზიდენტი არ ვიქნებოდი.

— თქვენ დიდხანს იცხოვრეთ ლატვიისგან შორს. კარგად იცნობთ თქვენს ქვეყანას?

— პირველად ლატვიაში 1969 წელს ჩამოვედი, რომელიც ოცდახუთი წლის წინ, 1944 წლის 1 იანვარს დავტოვე. მართალია, სტალინის სიკვდილის შემდეგ ლატვიაში დარჩენილ ნათესავებთან მიმოწერა დავიწყეთ, მაგრამ წერილებს ხსნიდნენ. თუმც რაღაც ინფორმაციებს მაინც ვიგებდით. თანაც, ჩვენს სახლში, მონრეალში ყოველთვის ჩერდებოდნენ ლატვიიდან ჩამოსულები. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მეც რამდენჯერმე ჩამოვედი ლატვიაში. ასე, რომ თითქმის ყოველთვის ვიცოდი ყველაფერი მის შესახებ.

— ბოლო ხანებში რუსეთსა და ლატვიას შორის ურთიერთობა თანდათან იძაბება. ვინ არის დამნაშავე: მოსკოვი თუ რიგა?

— დამნაშავეა ის, ვინც წარსულისკენ იხედება და არა მომავლისკენ. ვინც მომავლისკენ იყურება, თვლის, რომ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა ნორმალურია და იგი.უნდა გაუმჯობესდეს.

— გამოდის, რომ მთავარი დამნაშავენი პოლიტიკოსები არიან. პოლიტიკაში ხომ, როგორც ქორწინებაში, ორი მხარე ვერ რიგდება.

— ქორწინება იმიტომ კი არ ირღვევა, რომ ერთი რომელიღაც მხარე მეტადაა დამნაშავე, არამედ შეუთანხმებლობის გამო. ლატვია 50 წელი იძულებით იყო მიჯაჭვული რუსეთზე. შეიძლება ეს რუსეთს მოსწონდა, მაგრამ ლატვიას — არა და იგი დამოუკიდებელი გახდა. მათი „ქორწინება" დაირღვა, მაგრამ ერთადერთი პარტნიორი ამას ვერ ეგუება. არადა, უნდა შემოვისაზღვროთ და კეთილმეზობლურად უნდა ვიცხოვროთ.

— მაგრამ რუსეთისა და ლატვიის ურთიერთობაში მთავარია რუსულენოვანი მოსახლეობის პრობლემა. თქვენ განაცხადეთ, რომ ლატვიაში არავის წაართმევენ მშობლიურ ენას. რა გქონდათ მხედველობაში?

— ჩვენი კანონი „მოქალაქეობის შესახებ" შესწორებების შემდეგ ევროსაბჭოს სტანდარტებს პასუხობს. ის უფრო ლიბერალურიც არის გერმანიის კანონთან შედარებით. ჩვენთან მოქალაქეობის მიღების ერთერთ პირობად ლატვიურის, როგორც სახელმწიფო ენის ელემენტარული ცოდნაა საჭირო. როცა აქაური რუსი ლატვიურს სწავლობს, არ ნიშნავს, რომ ავიწროებენ. პირიქით, ლატვიური ენის ცოდნა გზას უხსნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისაკენ. რუსულ ენას კი მათ არავინართმევს.

— ესე იგი, ახლა რუსი ბავშვები სკოლაში რუსულ ენას, ისტორიას და კულტურას სწავლობენ?

— რა თქმა უნდა, ლატვიურის ინტენსიურ სწავლებასთან ერთად.

— მართალია, რომ თქვენც დაიწყეთ რუსული ენის შესწავლა?

— მართალია.

— ლატვიიის სტრატეგიული მიზანი ნატოში და ევროკავშირში შესვლაა. ამათგან რომელი უფრო მნიშვნელოვანია?

— ჩვენ ორივე ორგანიზაცია ისე გვჭირდება, როგორც ადამიანს ორივე ხელი — მარცხენა და მარჯვენა.

— ნატოში გაერთიანება ხომ არ გააუარესებს რუსეთთან ურთიერთობას?

— ცუდია, როცა ვინმე ომს იწყებს. ლატვია არავის გამოუცხადებს ომს. თაგვი ხომ არასდროს ესხმის სპილოს? ლატვია, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, სტაბილურობის გარანტი იქნება რეგიონში.

— — —

ვაირა ვიკე-ფრეიბერგა დაიბადა ომამდელ დამოუკიდებელ ლატვიაში, მაგრამ ცხოვრების მეტი ნაწილი კანადაში გაატარა. მუშაობდა ბანკის მოლარედ, გოგონათა სკოლის ზედამხედველად, ესპანური ენის მთარგმნელად, საავადმყოფოს ფსიქოლოგად და ბოლოს მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო. იყო მონრეალის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი და, იმავე დროს კანადის წარმომადგენელი ნატოში. 1998 წელს დაბრუნდა სამშობლოში და ლატვიის ინსტიტუტს ჩაუდგა სათავეში. 1999 წელს ლატვიის პრეზიდენტად აირჩიეს.

# მარგეტ ბირო — უნგრელი ქართველოლოგი

ქალბატონი მარგეტ ბირო დღეს ერთ-ერთი წამყვანი ქართველოლოგია უნგრეთში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწევა.

ქალბატონმა მარგეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული მწერლობის ანთოლოგიის უნგრულ ენაზე გამოცემაში. უამრავი წერილი აქვს გამოქვეყნებული ქართველ მწერლებზე უნგრულ ჟურნალებსა და ენციკლოპედიებში. იგი თანაავტორია ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას" უნგრულად თარგმანისა.

ცალკე წიგნადაა აქვს გამოქვეყნებული ძველი ქართული ლიტერატურის ხუთი ძეგლი.



მარგეტი დიდი ენთუზიაზმით ასწავლის ქართულ ენას ბუდაპეშტის ლორანდ ეტვეშის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობს ქართულ ბიბლიოთეკას, რომელიც მისივე აქტიური დახმარებით შეიქმნა.

ახლახან ბ-ნმა შოთა გოგოხიამ, აფხაზეთის ყოფილმა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, რომელიც როგორც აფხაზეთიდან დევნილი, მეუღლესთან, პროფესორ ნინო მგელაძესთან ერთად რამდენიმე ხანი უნგრეთში ცხოვრობდა, რედაქციაში მოგვიტანა უნგრელ სტუდენტთა ჟურნალი, რომელშიც ქართულად და უნგრულად დაბეჭდილია საფო მგელაძის პატრიოტული ლექსი „საქართველო". ზწკარედის თარგმანი შესრულა მარგეტ ბირომ, ხოლო ახალგაზრდა პოეტმა ბოთო შ ესთერმა შექმნა ლექსის პოეტური თარგმანი...

# [illegible]

### ანუ

### ის, რაც თავისუფლების სახელით ფუძდება

[illegible]



[illegible]

# „[illegible]“

[illegible]

მარინე ნაკაიძე

## „გვირილა“ ეგეოსის ზღვის სანაპიროზე

[illegible]



მაია ბაკურაძე თათია დოლიძე თათია პაპიაშვილი, ნინო მინაძე ანსამბლ „გვირილას“ წევრები



## ნაზი ჭედია

### ხმა მიწისქვეშეთისა

უჩემოდ არსად, არც რა მომხდარა, არც არა ხდება,
არც-რა ხარობს და, ხმობით კი ხმება,
რადგან ჩემშია, მთელი სამყაროს ყოველი ფესვი,
– წყარო ზეცისკენ ყოველგვარ ზესვლის.
და ძვალსამყოფიც, ყოველ სივრცეთა, ერთობ ყოველთა,
მე ვარ სამყაროს დღემდე მპყრობელი...

• • •

მიწის ბელტივით დამფშვნა, დამშალა,
შენი თვალების ღვთიურმა წვიმამ,
და მომაგონა ძველი გზა-შარა,
სად ბედნიერი ვიდოდით წინათ...

### თამარ!

შენ ერთადერთი, ხარ დღემდე ქალი,
არ ამქვეყნიურ სხვა სიდიადის,
შენ მიეც მამულს სიმაგრე რვალის,
მიტომაც დროთა უკვდავი ქნარით,
სახება შენი, ლეგენდად ვცანით...

• • •

ზამთარში ისე იბადებიან,
ჩემი ფიქრები, ანუ ლექსები,
როგორც თოვლის ქვეშ საგაზაფხულოდ,
ენძელების და იის ფესვები...

• • •

თუ არ სიკვდილის სიქველე
თავის ყოვლისმძლე ხელითა,
ისე სიცოცხლის სიჭრელეს
ვერ აღწერ ვერა ენითა,
და ვერც დახატავ ვერასდროს,
ვერა ფუნჯით და ფერითა...

• • •

როცა უკვე ემალები მზეს,
თავს აფარებ საჩრდილობლად ხეს,
ძველებურად ველარ კეცავ გზებს,
ეს ნიშნავს რომ სიჭაბუკე დღეს,
უკვე გართმევს თავის გრძნეულ ხელს...

# გიპასუხებთ კოსმეტოლოგი

### როგორ მოვუაროთ კისერს, ყელზე ხომ სწრაფად ჩნდება ნაოჭები?

თუ სპირტიანი ტუალეტის წყლით იწმენდთ სახეს (ცხიმიანი კანის შემთხვევაში), მაშინ ყელ-კისრისათვის აჯობებს უალკოჰოლო ლოსიონი.

ქალებს, რომლებსაც მშრალი კანი აქვთ, სახის გასაწმენდი ყველა საშუალება გამოადგებათ კისრის გასაწმენდადაც, რადგან მათი ლოსიონები შეიცავენ ცხიმსაც და დამატებით რაიმე კრემი კისრისათვის საჭირო არ არის. სასარგებლოა შხაპის მიღებისას რბილი ჯაგრისით ყელის მსუბუქი მასაჟი. ყველაზე მთავარი კი თავის დაჭერაა. თავი მაღლა ასწიეთ და იყურეთ პირდაპირ.

### ფრჩხილის ირგვლივ კანი ხშირად მისკდება და მიწითლდება. როგორ მოვიქცე?

ეცადეთ სწორად დაიმუშავოთ ფრჩხილები. ყურადღება მიაქციეთ, რომ ფრჩხილის ირგვლივ კანი რბილი და აუქერცლავი იყოს. მაკრატელი იშვიათად იხმარეთ. უკეთესია ფრჩხილი ქლიბით დაიმუშაოთ.

### როგორ მოვამზადოთ სწრაფად მატონიზირებელი აბაზანა, იმისაგან, რაც შინ გვაქვს?

ჩაამატეთ წყალში 1/2 ლიტრი რძე, ერთი კოვზი თაფლი და ცოტა ნუშის ზეთი. ასეთი აბაზანა მშრალ კანს ამშვიდებს და ატენიანებს. მგრძნობიარე კანისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ღვინის ძმარიც.

ხოლო ზღვის წყლის მარილიანი აბაზანა კანის გაწმენდას უწყობს ხელს და ძალზე სასარგებლოა ცხიმიანი კანისათვის.

გინდათ ყოველთვის მოვლილი და მიმზიდველი იყოთ?
როგორ შევინარჩუნოთ კანის ჯანმრთელობა და სინორჩე?
მოგვწერეთ, რაც გაინტერესებთ.
ჩვენს ჟურნალში თქვენ ნახავთ პასუხს თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

მოდა

# კრისტიან ლაკრუას ცხოვრება და თეატრი

*... ერთხელ მეგობრებთან ერთად ფინჯან ჩაის ვუსხედი. უცებ მოვიხედე და „ის“ დავინახე — სათვალე, ფერმკრთალი, ულამაზესი [illegible] ნა შავი გაქუცული ბეწვის საყელო სპორტულ მაისურზე [illegible] ყელზე მძივები ეკიდა, ფეხზე თეთრი ფეხსაცმელები ეცვა, [illegible] ვიფიქრე სასაცილო კი არა მომხიბვლელი [illegible] იყო.*

ასე იწყებს თხრობას ცნობილი ფრანგი დიზაინერი კრისტიან ლაკრუა მისი ცხოვრების ყველაზე მთავარი შეხვედრის შესახებ.

ოცდაათიოდე წლის წინ საფრანგეთის პატარა ქალაქ არლის მკვიდრი პარიზს ერთადერთი მიზნით ესტუმრა, რათა სადიპლომო ნამუშევრისთვის „ისტორიული კოსტუმი XVIII საუკუნის ფერწერაში“ მასალები შეეგროვებინა. ბეჯითი და ნიჭიერი სტუდენტი, ადვილი შესაძლებელია, ახლაც მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი ყოფილიყო, ნოემბერში თავის ფრანსუაზას რომ არ შეხვედროდა.



იგი მის ცხოვრებაში ქარბორბალასავით შემოიჭრა და მარტო მეუღლედ კი არა, მეგობრად, თანამოაზრედ, მრჩევლად და მთავარ თანაშემწედაც იქცა. ფრანსუაზას სრული უფლება აქვს თავადაც გაინაწილოს დიზაინერის ყველა ის წარმატება, რომელსაც დღეს „ილუზიების ოსტატს“, „ნაყშების მეფეს“ უწოდებენ.

მაშინ კი, 70-იანი წლების დასაწყისში მოდის სამყაროში კრისტიან ლაკრუას მხოლოდ პროვინციელ სტუდენტად მიიჩნევდნენ, ფრანსუაზას — თავისიანად. სწორედ ქალმა წარუდგინა იგი ადამიანებს, მოდის სფეროში ანგარიშგასაწევ პირებად რომ ითვლებოდნენ.

„არის ამ ბიჭში რაღაც“... — არცთუ იშვიათად აღნიშნავდნენ ძველი პარიზელი მოდელიორები და არც ცდებოდნენ. 1987 წელს კრისტიან ლაკრუას საკუთარი მოდების სახლის გახსნა შესთავაზეს და მანაც ქსოვილებითა და ფურნიტურით ექსპერიმენტირება დაიწყო, თამამად უხამებდა ერთმანეთს კიჩსა და დახვეწილ ფუფუნებას, ქმნიდა ჰაეროვან დრაპირებას, მაღალწელიან სილუეტებს, ყველაზე მეტად შორეულ ისტორიულ ეპოქას რომ შეეფერებოდა.

მის იდეებზე ნამდვილი ნადირობა იყო გამოცხადებული და, რასაც ლაკრუა haute couture კოლექციებში ქმნიდა, მომენტალურად იტაცებდნენ „მზა ტანსაცმლის“ დიზაინერები, თუმცა თავად მოდელიერი ამას დიდად არ დაგიდევდათ და მაშინვე პრეტ-აპორტეს საკუთარ კოლექციაზე იწყებდა მუშაობას.

დღეს კრისტიან ლაკრუა თავს უბედნიერეს ადამიანად თვლის — გვერდს კვლავ ერთგული ფრანსუაზა უმშვენებს, ხოლო ისტორიული კოსტიუმების სიყვარულმა თანამედროვე მოდის სამყაროში საკუთარი სტილის დამკვიდრებისკენ უბიძგა, რომელსაც უამრავი მიმდევარი ჰყავს. გარდა ამისა, კუტიურიე თეატრალური სპექტაკლებისთვის ნამდვილ ისტორიულ კოსტიუმებს ქმნის, მაგრამ რომელია მათ შორის მთავარი — სცენა თუ ცხოვრებისეული თეატრი — ამ არჩევანის გაკეთება დიდ მოდელიერს ახლაც ძალიან უჭირს...

# კროსვორდი



***თარაზულად:*** 7. წარჩინების ნიშანი (ორდენი და მისთ. ძველად). 8. სასაცილო ან სატირული სიუჟეტის მქონე დრამატული ნაწარმოები. 9. დესპოტი. 11. ვისიმე მოქმედების, ცხვრების ჩვეული, კარგად ცნობილი საყვარელი არე, გარემო. 12. ცდისგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე. 15. მთათა სისტემა სამხრ. ციმბირში. 17. ფრანგი კომპოზიტორი. 18. ქართველი ბალერინა. 21. სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში. 23. მშვილდით სასროლი ჯოხი. 25. მსხვილი საჯარისო შენაერთი. 27. ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 28. კათოლიკეთა და პროტესტანტთა რელიგიური საგალობელი. 29. სახელმწიფო ამერიკაში. 30. ფულის ერთეული კენიაში.

***შვეულად:*** 1. მრავალსერიანი კინო ან ტელეფილმი. 2. საუკეთესო ხარისხის ბროლი. 3. აფრიკის სახელმწიფო. 4. ადამიანის სკულპტურული ან ფერწერული გამოსახულება. 5. XIX ს-ის ფრანგი მწერალი. 6. პურეული მცენარე. 10. მანძილი სტარტსა და ფინიშს შორის, მოძრავ მანქანებს შორის დასხვა. 13. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა. 14. მრიყვი, უმეცარი. 16. პარკოსანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარე. 17. ერთგვარი წყვილთა ცეკვა. 19. უებარი საშუალება, რომელიც თითქოს ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს. 20. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი. 22. ამერიკელი კინომსახიობი. 24. რესპუბლიკა იუგოსლავიის შემადგენლობაში. 25. გრამოფონის ფირფიტა. 26. რაიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული ქმედება.

*შეადგინა ციალა ამაშუკელმა.*

# მეცნიერები გვირჩევენ

## ჰიპერტონიაზე — ლიმნით!

ჰიპერტონიის წინააღმდეგ ორიგინალურ საშუალებას გვთავაზობს ტიბეტური მედიცინა.

ნახევარი ლიმონი ან ფორთოხალი კანიანად გახეხეთ, შეურიეთ შაქარი გემოვნებით და მიირთვით ჩაის კოვზით სამჯერ დღეში. ეს გემრიელი წამალი შველის ჰიპერტონიას დასაწყის სტადიაში, ამასთანავე ძალზე ამცირებს ქალური დაავადებების გაჩენის შანსს და საუკეთესოდ მოქმედებს ფარისებურ ჯირკვალზე.

## ყველაფერს თავისი დრო აქვს

- კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერები გვირჩევენ:
- ნუ დაიწყებთ რთული საკითხების გადაწყვეტაზე ფიქრს გამოღვიძებისთანავე, ეს განწყობილებას აფუჭებს. ყველაზე კარგი დრო ამისათვის შუადღეა.
- საჭმლისაგან ყველაზე დიდ სიამოვნებას — ასევე შუადღეზე მიიღებთ.
- თუ რაიმე გტკივათ და გაწუხებთ — საჭმელი ჭამეთ. ტკივილი და დაძაბულობა მშიერზე უფრო მძაფრად აღიქმება.
- თუ რჩევების მიცემა გიყვართ — გააკეთეთ ის ტრაპეზობისას. უკეთ მოგისმენენ და შეისმენენ.
- მოხსენებაზე იმუშავეთ ძილის წინ. უკეთ შეითვისებთ ინფორმაციას.

## ტელევიზორი ინტელექტს სპობს

აშშ-ში ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს — სამი კვირის მანძილზე ტელევიზორის რეგულარული ყურება ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს განუხრელად დაბლა წევს.

ადამიანები, რომლებიც დიდ დროს ატარებენ ტელეეკრანთან, კარგავენ დამოუკიდებლად აზროვნების უნარს.

სპეციალისტები ურჩევენ ყველას დაიცვან მკაცრი სატელევიზიო დიეტა — საათნახევარი ორი საათი დღეში.

## ფერადი საცვლები — საშიშია?

ცხადია, მომხიბვლელია ექსტრავაგანტური ფირუზისფერი, ალისფერი საცვლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ვისაც ალერგიისკენ მიდრეკილება აქვს, მათთვის ისინი მავნეა, რადგან წმინდა ბამბის ქსოვილისგან დამზადებულიც კი ვერ იცავს ორგანიზმს საფეიქრო მრეწველობაში გამოყენებული საღებავების მავნე ზემოქმედებისაგან.

ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ თეთრი ან პირისფერი საცვლების ტარებას.

## დეპრესიავ, მშვიდობით!

სულ 20-25 წუთი ყოველდღიური ვარჯიში შვიდჯერ ოფლის მოდენამდე და თქვენი დეპრესია საპნის ბუშტივით გაქრება. რადგან ფიზიკური ვარჯიშის დროს ორგანიზმში გამოიყოფა ენდორფინების — ბედნიერებისა და სიამოვნების ჰორმონების — დიდი რაოდენობა.

სირბილი, აერობიკა, აირჩიეთ რაც გნებავთ, დაუთმეთ თქვენს თავს 20 წუთი.

**ჟურნალი „ზდოროვიე", №7.**

ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში - მ.კოსტავას ქ. №14. V სართული



რედაქციის მისამართი 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.

რედაქტორის ტელეფონი: 99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 15.09.2000 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.11.2000 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 800



## ნინო გოგოლაშვილი

ნინო გოგოლაშვილი დაიბადა 1958 წელს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების განყოფილება (1976-82 წ.წ.). პედაგოგები: ზ. გოგოლაშვილი, ფ. ლაპიაშვილი.

სადიპლომო ნამუშევარი — პ. კაკაბაძის „ყვარყვარე" (ხელმძღვანელი — ფ. ლაპიაშვილი).

გამოფენებში მონაწილეობს 1982 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1997 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „ხე შემეცნებისა", „გარდასვლა", „ვულკანი", „ქვად ქცევა", „მოდერნ ჯაზკვარტეტი", „განკითხვის დღე", „შემოდგომის პეპლები", „ღამის ტანგო", „ფლამინგო".

გამოფენები: „Haus AM CHACK point Charlie" — ბერლინი (1990, 1998), გალერეა „Art-Stark" — ბერლინი (1993), სეზონური (1982-98), საშობაო სეგ (1998). მისი ნამუშევრები დაცულია გერმანიისა და ინგლისის კერძო კოლექციებში. 1984 წლიდან მუშაობს თსსა გრაფიკის კათედრაზე



ფლამენკო



გარდასვლა



მოდერნ ჯაზკვარტეტი



• განკითხვის დღე

# ნინო გოგოლაშვილის

## ნამუშევრები

მასალა იხ. გარეკანის III გვერდზე



• სიცოცხლის ხე



• ვულკანი

ფასი 1 ლარი